ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 21 ივნისი, 2019 №145 (8099) ფასი: 60 თეთრი

გურამ ფალავანდიშვილი დააკავეს

„ამდენი დაჭერით ცოტა შევთხელდი და უფრო კარგ ფორმაში ვარ“



გვ.7

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

რუსთაველზე აქციის მონაწილეებმა პარლამენტში შეჭრა სცადეს



გვ.2

ოპოზიცია კობახიძის, გახარიასა და გომელაურის გადადგომას ითხოვს

გვ.2

„ან მივაღწევთ ამ სამი ადამიანის გადადგომას, ან დავიწყებთ დაუმორჩილებლობას და ხელისუფლებამ თავის თავს დააბრალოს!“

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილი გვაშორებს ევროპას და გვაახლოებს რუსეთს“

გვ.3

„გაუგებარია მარგველაშვილის პოზიცია, რომ ვასაძის განცხადებაში ძალადობისკენ მოწოდება ვერ დაინახა“

ვინ ჩასვა რუსი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში

გაუგონარი სკანდალი პარლამენტში



გვ.3



გვ.4

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი ვადამდელი არჩევნებისთვის უკეთეს დროს ვერ იპოვის“

გვ.4

ზაზა პაპუაშვილი: „რამდენი რამე კეთდება, ამაზე რატომ არავინ საუბრობს?!“

„ეს არის ერთი კაცის წუხილი, რომელიც იყო იმ ხასიათზე, რომ ეს თქვენთვისაც გაეზიარებინა“

სამართალი გვ.7

მეგობარი ქალის 7 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის რ.ვ.-ს 22,5 წელი მიესაჯა

მეტრო „რუსთაველში“ ინციდენტის გამო ნიკოლოზ ჩალიგავა დააკავეს



ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს 20.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

ISSN 1987-9385

5 სიმონ ნოზაძე: „გავრილოვი პარლამენტში არ უნდა მისულიყო“

6 დავით ლორთქიფანიძე: „მინისტრობიდან წასვლა სერგეენკომ თავად მოინდომა“

5 რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ პიბრიდული ომის სხვადასხვა მიმართულება გააქტიურა

6 ვახტანგ ხომიზურაშვილი: „ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების პროვაიდერის როლში გამოდის“

რუსთაველზე აქციის მონაწილეებმა პარლამენტში შეჭრა სცადეს

შორენა მარსაგიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის აქცია სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. საღამოს 9 საათზე აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას ერთსაათიანი ვადა მისცეს სამი ჩინოსნის გასათავისუფლებლად. მათი მოთხოვნით, თანამდებობები ირაკლი კობახიძეს, გიორგი გახარიას და ვახტანგ გომელაურს უნდა დაეტოვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პარლამენტის შენობაში შევიდოდნენ.

ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა. ირაკლი კობახიძემ, რომლის სკამზეც რუსი უკუპანტი გავრილოვი წამოსკუპდა, ისიც კი არ იკადრა, რომ ბაქოში ვიზიტი შეეწყვიტა. ის ერს აზერბაიჯანის დედაქალაქიდან ჩაერთო, მომხდარის გამო სინანული გამოთქვა და განაცხადა, თანამდებობას არ დავტოვებო.

21.50 წუთზე აქციის მონაწილეებს ნიკა მელიამ მიმართა და თქვა, რომ 10 წუთში ისინი პარლამენტში შევიდოდნენ.

პარლამენტის ეზო დილიდანვე სავსე იყო სამართალდამცავებით, აქციის დაწყების შემდეგ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ოპოზიციის ერთსაათიანი ულტიმატუმის გამოცხადების შემდეგ კი იქ სპეცრაზმიც გამოჩნდა.

სპეცრაზმი მობილიზებული იყო პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზეც. მოგვიანებით იქ შს მინისტრი გიორგი გახარიაც გამოჩნდა, რომელიც ბოლო დღეების მანძილზე არსად ჩანდა.

სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება შს მინისტრის მისვლამდე დაიწყო.

სპეცრაზმის წევრები ხელკეტებით გაუსწორდნენ აქციის იმ მონაწილეებს, რომლებმაც ჯებირი გაარღვიეს, პარლამენტის ეზოში შევიდნენ და შენობაში შესვლას შეეცადნენ.

როდესაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, რუსთაველზე შს მინისტრი გიორგი გახარიაც გამოჩნდა. მან მოქალაქეებს პოლიციის მოთხოვნების დამორჩილებისკენ მოუწოდა.

– თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ახლა დგას ამ მოედანზე და გამოთქვამს სამართლიან პროტესტს, მოვუწოდებ, ერთმნიშვნელოვნად დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნას. რაც აქ ხდება, ამას ჰქვია სახელმწიფო ინსტიტუტების შტურმი. სხვას ყველაფერს მოგვიანებით გეტყვით, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ხელკეტების გარდა, პოლიციამ აქციის მონაწილეების მიმართ ცრემლსადენი გაზიც გამოიყენა.

ამ შეტაკებების შედეგად რამდენიმე მოქალაქე, მათ შორის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ხატია დეკანოიძეც დაშავდა.

ამ აქციას შორიდან ადევნებდა თვალს მიხეილ სააკაშვილი, რომლის პრეზიდენტობის დროს არაერთხელ დაურბევიათ ოპოზიციის აქცია.

20 ივნისის მოვლენებით სააკაშვილი შეძრული იყო. ის პოლიციას მოუწოდებდა, ხალხის დარბევაზე უარი ეთქვა.

– მოვუწოდებ ჩემს შექმნილ ქართულ პოლიციას, არ დაემორჩილოს ივანიშვილს და გადავიდეს ხალხის მხარეს, – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქზე.

ოპოზიცია კობახიძის, გახარიასა და გომელაურის გადადგომას ითხოვს

„ან მივაღწევთ ამ სამი ადამიანის გადადგომას, ან დავიწყებთ დაუმორჩილებლობას და ხელისუფლებამ თავის თავს დააბრალოს!“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ რუსი დეპუტატების დახმარებით ხალხს ქუჩაში გამოყვანისკენ უბიძგა. პარლამენტში მომხდარი სამარცხვინო ფაქტის შემდეგ საზოგადოებამ და ოპოზიციამ რუსთაველზე აქცია დააანონსა.

თბილისის გარდა, ნებაყოფლობითი ოკუპაცია საქართველოს სხვა ქალაქებშიც გააპროტესტეს.

მართალია, აქცია რამდენიმე ადგილას გაიმართა, მაგრამ ყურადღება თბილისისკენ იყო მიმართული. ამ აქციისთვის ხელისუფლებაც სათანადოდ მოემზადა.

პარლამენტის ეზოში უამრავ სამართალდამცავს მოეყარა თავი, აქციის დაწყების შემდეგ კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

რაოდენობის სიმცირეს არც აქციაზე შეკრებილები უჩიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებისა“ და რუსეთის მოყვარულებმა პროტესტი ნაცების აქციად მონათლეს, ხალხი რუსთაველზე მაინც მივიდა. საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში ყველასთვის სულ ერთი არაა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ოკუპანტი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი ჩაჯდება.

ოპოზიციასაც და ხალხსაც მიაჩნია, რომ ამის გამო პარლამენტის სპიკერი უნდა გადადგეს. ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა მელია, პირობის დებს, რომ ირაკლი კობახიძე პარლამენტის შენობაში ვერ შევა.

– ან ეროვნულ ღირსებას ვიცავთ, ან ვამბობთ, რომ, კი ბატონო, ქართველი ჯარისკაცების ხოცვაში ამოსვრილი სისხლიანი ხელებით ბატონი გავრილოვი მოვიდა, წამოსკუპდა და წამოასკუპა კობახიძე-ივანიშვილმა სავარძელში და აქ სისხლიან ხელებს აჭერდა, თან სად, ხომ გააჩნია, სად – საპარლამენტო სხდომათა დარბაზში, რომელიც ამიერიდან აღარ არის სხდომათა დარბაზი, კონკრეტულ პოლიტიკურ ფასს გადაიხდის ივანიშვილი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აქამდეც უნდა გადამდგარიყო.

– ეს არის ადგილი, სადაც მოსახლეობის ჯანსაღმა ნაწილმა და უდიდესმა უმრავლესობამ უნდა დაიცვას ღირსება, მათ შორის ამ დარბაზშიც, დარბაზს მიღმაც, კორიდორებშიც და ქუჩაშიც.

აქამდე უნდა გადამდგარიყო ირაკლი კობახიძე, მაგრამ, რა განცხადებაც წავიკითხე, არც აპირებს. რაღაც მესიჯბოქსი შეიმუშავეს და ერთმანეთს ეჯიბრებიან სისულელეების თქმაში, თითქოს პროტოკოლმა ჩაიდინა დანაშაული და ალბათ პროტოკოლის თანამშრომელს დაბრალდება, მაგრამ აღარ გაიყიდება ეგ ტყუილი საზოგადოებაში. მოღალატეობრივი აქტი ჩადენილია, ღირსება ფეხქვეშ გათელილია, ამას სჭირდება აღდგენა, – განაცხადა მელიამ.

მისი შეფასებით, ერი აუცილებლად დაიცავს ღირსებას.

– არ მინდა ახლა ბაქიბუქი, დავინახავთ, რა იქნება. მე ერთი რამ ვიცი, რომ ერი დაიცავს ღირსებას და ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში, სხვადასხვა ეტაპზე ამ ქვეყნის განვითარებისა ერს შესაშური ერთობის უნარი გამოუჩენია.

მე დარწმუნებული ვარ, ახლაც იქნება ეს შემთხვევა, სანამ ერთი, როგორც მინიმუმ, კობახიძე არ გადადგება და ეს არის პირობა, რომელიც არის პრინციპულად მნიშვნელოვანი. შევხედავთ, რა ნაბიჯებს გადადგამს საღამომდე ივანიშვილი და დანარჩენი მერე გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის, – განაცხადა ნიკა მელიამ.

„დღეს ზვიად გამსახურდიას სავარძელში იჯდა ჯალალედინი“

დეპუტატის თქმით, ირაკლი კობახიძე სხდომათა დარბაზში ვეღარ შევა.

– კობახიძის პასუხი ვიცით უკვე, მაგრამ კობახიძე ამ დარბაზში ვეღარ შემოვა და, თუ შემოვა, ყველაფერი, რაც კი ხელთ მომხვდება მე, პირადად, თავში მოხვდება, ეს მიკროფონიც მაგალითად, – აღნიშნა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა დარწმუნებულია, რომ „ოცნებას“ ქართველი ხალხი ამ შეურაცხყოფას არ აპატიებს.

– თავმოყვარეობის შელახვას არავინ აპატიებს ამათ და დღეს ქართველი ხალხი არის შეურაცხყოფილი, იმედგაცრუებული და გაბრაზებული. ამას ნახავს ივანიშვილი, თავისი ხეების მატარებელი კაცი, როგორ არის რეალურ ადამიანებთან ურთიერთობა საჭირო, რა სტკივათ რეალურად ადამიანებს საქართველოში, ნახავს, იგრძნობს და მოუწევს დათმობა, მოუწევს ხელისუფლების დათმობა და, თუ ამას არ იზამს ნებით, აუცილებლად, არ დავიღლებით და ბოლომდე, ჩვენი კანონით, ჩვენი კონსტიტუციით, დედას ვუტირებთ ამათ, – განაცხადა აქციაზე სიტყვით გამოსვლისას უგულავამ.

„გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე აღშფოთებულია იმის გამო, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჯალალედინი ჩაჯდა.

– საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში ვიხილეთ კატასტროფა, ჩვენი ეროვნული გლოვა. დღეს ზვიად გამსახურდიას სავარძელში იჯდა ჯალალედინი. დღეს სერგეი გავრილოვის იქ ჯდომა ჩემთვის იყო ის, რაც მოხდა საუკუნეების წინ. მე ვნახე გუმბათმონგრეული სიონი და ზედ შემომჯდარი ბოროტი სულთანი ჯალალედინი.

ეს ხდება ჩვენს ქვეყანაში. თბილისში ჯალალედინია შემოსული. თბილისი და სრულიად საქართველო ფეხზე უნდა დადგეს, უკან მოგვრჩება პარტიებიც და ერთმანეთის წარსულში ჩხიკინიც. ვინც წარსულს ჩხრეკს, ის მომავალს ვერასდროს მიაღწევს.

ნუ ამართლებთ საკუთარ შიშებს, ვინც ახლა შორიდან გვიყურებს და ჩვენზე ჭკვიანები ჰგონიათ თავი. მარტო ვერაფერს მიაღწევთ, ნუ გაიხდით საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების საწყევრად თავს, – აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ.

აქციაზე განცხადებები სამოქალაქო აქტივისტებმაც გააკეთეს. სიტყვით გამოვიდა შვილმოკლული მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი.

მან წუხილი და შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში სხედან პუტინის პირდაპირი მონები.

– 20 ივნისს ყველამ ვნახეთ, საქართველოში რა ხდება. ხელისუფლების სათავეში სხედან პუტინის პირდაპირი მონები. ამიტომაც ჩვენ ყველანი ასეთ დღეში ვართ. ივანიშვილი და მისი ყველა დამქაში ციხეში! მთელი ხელისუფლება ციხეში! სასამართლო ციხეში! პარლამენტი ციხეში! მთავრობა ციხეში! მათი ადგილია ციხე და არა თავისუფლება.

ესენი არიან პუტინის პირდაპირი მონები, საქართველოში ატარებენ რუსულ პროპაგანდას. ესენი ყველანი დასაჭერები არიან, ყველა ერთნაირი ნაძირალაა, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

პარლამენტში განვითარებული მოვლენების გამო ლამის მთელმა „ოცნებამ“ მოიხადა ბოდიში.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ბოდიში საკმარისი არ არის.

– აქამდე, უბრალოდ, დაცინვის თემა იყო, რომ „ოცნების“ დეპუტატებს მწვანე და წითელი ღილაკები ერევათ, „ოცნების“ თანამდებობის პირებს გასაკეთებელი და გაუკეთებელი ხიდები ერევათ და აფეთქებენ, ღრმაწყლოვანი პორტები ერევათ და ანაკლიის მაგივრად ფოთს თხრიან, მაგრამ, 20 ივნისს რაც მოხდა, ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის პირდაპირი შეურაცხყოფა იყო და პასუხისმგებლობა ბოდიშის მოხდა არ არის.

პასუხისმგებლობას გავყოფდი ორ ნაწილად, პირველი ეკისრება ირაკლი კობახიძეს, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს. ის პოლიტიკურადაა ამაზე პასუხისმგებელი, ამიტომ მოვითხოვეთ მისი გადადგომა და, რადგანაც გუნდი უარს აცხადებს ამაზე, დავიწყებთ იმპიჩმენტის პროცესს.

მაგრამ სრულიად აღმაშფოთებელი იყო, რაც ვიხილეთ, რომ „ოცნების“ პოლიტიკური ლიდერები გამოდიოდნენ და მიამიტურად, გაოგნებული სახეებით იძახდნენ, რა საშინელება მოხდა, დავითრგუნე, გავნადგურდიო, გეგონება, გავრილოვი პარაშუტით გადმოსვა ვიღაცამ.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკამ მიგვიყვანა აქამდე, რომ გავრილოვი დღეს ამ სავარძელზე აღმოჩნდა, – აღნიშნა ბაქრაძემ.

მისმა თანაპარტიელმა გიგი უგულავამ კი დაუმორჩილებლობა დააანონსა. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, თანამდებობა უნდა დატოვონ კობახიძემ, შს მინისტრმა გახარიამ და სუსის უფროსმა გომელაურმა.

იმ შემთხვევაში, თუ ეს სამი პირი არ გადადგება, ოპოზიცია დაუმორჩილებლობას დაიწყებს.

– ან მივაღწევთ ამ სამი ადამიანის გადადგომას, ან დავიწყებთ დაუმორჩილებლობას და ხელისუფლებამ თავის თავს დააბრალოს! – განაცხადა უგულავამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვინ ჩასვა რუსი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში

შორენა მარსაგიშვილი

გაუგონარი სკანდალი პარლამენტში

გუშინ, 20 ივნისს, კიდევ ერთხელ მოკვდა გიორგი ანწუხელიძე, კიდევ ერთხელ აიფეთქეს თავი შინდისის გმირებმა, კიდევ ერთხელ დაიხოცნენ ისინი, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეეწირნენ.

ვერც ისინი და ვერც დანარჩენი საქართველო ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ასე მარტივად ჩააბარებდა ქვეყანას რუს ოკუპანტებს.

ის, რაც 20 ივნისს პარლამენტში მოხდა, იყო ყველაზე სამარცხვინო ფაქტი, რაც კი აქამდე მომხდარა ამ შენობაში.

ამის მსგავსი ფაქტი 1994 წელს მოხდა იმელის შენობაში, როცა საქართველოს პარლამენტმა თავდაცვის მინისტრად რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და რუსეთის მიერ წარდგენილი ვარდიკო ნადიბაიძე აირჩია.

რუსი დეპუტატები საქართველოში აგვისტოს ომის მერე აღარ ჩამოსულან. 11- წლიანი პაუზის შემდეგ ისინი პირველად ესტუმრნენ თბილისს და პირველივე სტუმრობაზე ქვეყნის ოკუპაცია მოახდინეს.

რომელიმე ქართველმა პოლიტიკოსმა ალბათ რუსეთში ასეთი ელვაშეტყობინებაც გააგზავნა – მოსკოვი, კრემლი, საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელი რუსმა დეპუტატმა დაიკავა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის სკამი მართლაც რუსმა კომუნისტმა სერგეი გავრილოვმა დაიკავა. მან სხდომის წაყვანა რუსულ ენაზე დაიწყო.

სერგეი გავრილოვი, სხვა რუს დეპუტატებთან ერთად, თბილისში მართლმადიდებლურ ასამბლეაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ეს ადამიანი ყველგან ღიად აცხადებს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს ნაწილი არასდროს იქნება.

ამ განცხადებების ავტორს საქართველოს ხელისუფლება დიდი ზარ-ზეიმით დახვდა და რადგან მის მიმართ მოსახლეობის მხრიდან ამხელა აგრესია იყო, სახელმწიფო დაცვაც დაუნიშნა.

ავლაბრის რეზიდენციაში გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მას თვალებში შესციცინებდნენ, მასთან ერთად იქეიფეს კიდევაც და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

ამ სამახსოვრო ფოტოზე გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გვერდით დგას და საკმაოდ კმაყოფილი სახე აქვს.

ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე საათში საზღვარგარეთ მყოფმა კობახიძემ პარლამენტში მომხდარი ფაქტი სასტიკად დაგმო. არადა, დაგმობილ ობიექტთან ერთად საერთო ფოტო აქვს გადაღებული. ცოტა ასაკოვანი რომ ყოფილიყო, ვიფიქრებდით, რომ დეპუტატი გავრილოვი მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი გავრილოვი ეგონა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დაგვიანებული პროტესტი გაუგებარია.

„შეცდომილთა“ ფარისევლობა

პარლამენტის სპიკერის სავარძელში რუსი კომუნისტის ჩაჯდომას საზოგადოების მხრიდან საშინელი პროტესტი მოჰყვა. საქართველოს რამდენიმე ქალაქში, მათ შორის თბილისშიც საპროტესტო აქციები დაიგეგმა.

პროტესტი გამოხატა ოპოზიციამაც. ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი სპიკერატში გამაგრდა. დეპუტატებმა განაცხადეს, რომ გავრილოვს იქ ასვლის უფლებას აღარ მისცემდნენ.

გავრილოვისთვის ადგილის გათავისუფლებას პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია შეეცადა. მისი მცდელობა ამაო გამოდგა, ის კოლეგებმა უკუაგდეს და სპიკერატის დაცვა გააგრძელეს.

მარშანიასა და რუს დეპუტატს პატრიოტთა ალიანსის კიდევ ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი წამოეშველა. ის გავრილოვის პროქართულობას ამტკიცებდა და ერს შთააგონებდა, რომ იმაში ტრაგიკული არაფერია, თუ გავრილოვი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა.

– მან თუ მომიკლა ომში ძმები, მეც ხომ მოვუკალი, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისმა არგუმენტებმა საზოგადოება და ოპოზიცია კიდევ უფრო გააღიზიანა. გაღიზიანებული იყო ზაქარია ქუცნაშვილიც, ოღონდ სხვა მიზეზით. ის აცხადებდა, რომ ასეთი დამოკიდებულება რუსი დეპუტატების მიმართ დიპლომატიური ქაჯობა იყო.

რუსი კომუნისტის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე წამოსკუპების შეფასება „ოცნებას“ დააგვიანდა.

ისინი მხოლოდ მას შემდეგ აყვირდნენ, რაც მათ ბიძინა ივანიშვილმა დაურეკა და თავზე დაამხო. თავად ბიძინას ვინ დაურეკა, ეს ამ ეტაპზე უცნობია.

ივანიშვილის ზარამდე საკანონმდებლო ორგანოში რუსული ჩექმის გამოჩენა ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა გააპროტესტა.

– ამაზე მძიმე სანახავი ჩემთვის რა შეიძლება იყოს, არ ვიცი. არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. ჩემთვის ყველა დღე იმაზე ფიქრში გადის, პარლამენტი სრულად შემდგარ სახელმწიფო ინსტიტუციად როგორ ვაქციოთ. რუსი დეპუტატის ნახვამ თავმჯდომარის სკამში, უბრალოდ, გამანადგურა, – დაწერა სოციალურ ქსელში ჩუგოშვილმა.

„ოცნება“ მისი პროტესტის შემდეგაც ინარჩუნებდა დუმილს. ეტყობა, ყველა ბელადისგან ელოდა ნიშანს და, როცა ეს ნიშანი მოვიდა, ისეთი ამბავი ატეხეს, კაცი იფიქრებდა, ხელისუფლებაში სხვა ძალა იყო და იმან დაუფინა ფიანდაზები ქართული სახელმწიფოს მტერსო.

პარლამენტში მომხდარ გაუგონარ უზნეობაზე განცხადებები ერთმანეთის მიყოლებით გააკეთეს პრეზიდენტმა, პრემიერმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, თბილისის მერმა, „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რამდენიმე მეოცნებე დეპუტატმა, კახა ოქრიაშვილის თამადობით, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოითხოვა, რამდენიმემ კი – პარლამენტის სპიკერის გადადგომა.

თავისი წილი აღშფოთება ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმაც დააფიქსირა.

– სრულიად ვიზიარებ ჩვენი თანამოქალაქეების გულწრფელ აღშფოთებას საქართველოს პარლამენტში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

დაუშვებელია, საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი სახელმწიფოს წარმომადგენელი ხელმძღვანელობდეს რაიმე სახის ფორუმს. როგორც მატყობინებენ, ეს იყო პროტოკოლური შეცდომა, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა, სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.

მე უკვე ვესაუბრე პარლამენტის თავმჯდომარეს, გამოვხატე ჩემი მკაცრი პოზიცია და, რა თქმა უნდა, ჩემი რეკომენდაცია იყო ამ სხდომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, – ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

სხდომა მისი განცხადების გარეშეც შეწყდებოდა. საპარლამენტო ოპოზიციის მხარდასაჭერად პარლამენტში სამოქალაქო აქტივისტებიც შევიდნენ და ისინი ერთობლივი ძალებით ჩაშლიდნენ სხდომას.

გავრილოვი პარლამენტის შენობიდან სასტუმრო რედისონში გააპარეს. პარლამენტთან შეკრებილმა ხალხმა ოკუპანტს სასტუმროსთანაც მიაკითხა და პროტესტი კვერცხების სროლით გამოხატა.

ცოტა ხანში გავრილოვი და სხვა რუსი დეპუტატები სასტუმროდანაც გააპარეს, მოგვიანებით კი მათ საქართველო დატოვეს.

საზოგადოება ისეა მომხდარის გამო გამწარებული, რომ შესაძლოა ირაკლი კობახიძესაც ასე მალულად მოუწიოს სირბილი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილი გვაშორებს ევროპას და გვაახლოებს რუსეთს“

„გაუგებარია მარგველაშვილის პოზიცია, რომ ვასაძის განცხადებაში ძალადობისკენ მოწოდება ვერ დაინახა“

იაგო ნაცვლიშვილი

რუსეთის დელეგაცია დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის ხელმძღვანელობით საქართველოში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიაზე დასასწრებად ჩამოვიდა. გავრილოვი ის რუსი დეპუტატია, რომელიც აფხაზეთის ომში იბრძოდა და მას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ხმაც კი აქვს მიცემული.

ოკუპაციის კანონის დარღვევის მიუხედავად, ის საქართველოში შემოუშვეს, უფრო მეტიც, დელეგაცია მივიდა პარლამენტში და დეპუტატმა გავრილოვმა პარლამენტის თავმჯდომარის სკამიც კი დაიკავა, ესეც არ იკმარა და დარბაზში სიტყვით გამოვიდა რუსულ ენაზე.

ამ ქმედებებს ოპოზიციის მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა და სხდომა ჩაიშალა. პროტესტს საზოგადოებაც შეუერთდა და პარლამენტის მიმდებარედ პროტესტმა იფეთქა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამის შემდეგ მოვიდნენ გონს და ჯერ ბიძინა ივანიშვილმა დაგმო გავრილოვის პარლამენტში ვიზიტი, შემდეგ კი მისი მესიჯი პრაქტიკულად „ოცნების“ ყველა ლიდერმა თუ წევრმა გაიმეორა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი **ნინო გოგუაძე** საუბრობს.

– როგორ აფასებთ გავრილოვის საქართველოში შემოშვებასა და შემდეგ უკვე პარლამენტის სპიკერის სავარძელში მის ჩაჯდომას?

– ეს არა მხოლოდ სრულიად უპასუხისმგებლო, არამედ უკვე მიზანმიმართული „ქართული ოცნების“ პოლიტიკაა. დღეს მივიღეთ სრულიად სიმბოლური რამე, მაშინ როდესაც სიძულვილი, რომელიც ქუჩაში გადმოიღვარა, ის სიძულვილი, რომელიც ამ დღეებში ვიხილეთ და რომელიც ძალიან კარგად იკვებებოდა ამ ხელისუფლების მიერ. ვნახეთ საშინელება, რომ ქართველები ერთმანეთს განადგურებით ემუქრებოდნენ, ამ დროს პარლამენტში სპიკერის სკამზე დასვეს რუსი ოკუპანტი.

ეს არა მხოლოდ რუსი დეპუტატია, არამედ ის მონაწილეობდა აფხაზეთის ომში და ხმა აქვს მიცემული აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობისთვის. აი, ეს დეპუტატი დასვეს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე.

ეს არის ძალიან სიმბოლური რამე. დიახ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგად რუსები შემოდიან საქართველოს პარლამენტში, მაშინ როდესაც ქართველები ერთმანეთს ქუჩაში ვუპირისპირდებით და ერთმანეთს განადგურებით ვემუქრებით. ეს არის ზუსტად რუსეთის ის პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართულად ვითარდებოდა საქართველოში.

თავიდან ბოლომდე ეს არის „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა. ის, რომ „ოცნების“ დეპუტატები შეუერთდნენ ოპოზიციას და მათაც ჩაშალეს ეს შეხვედრა, ეს, იცით, როგორ არის? ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს.

– ანუ სხვა გზა აღარ ჰქონდათ?

– დიახ, სხვა გზა არ ჰქონდათ. ძალიან კარგად მიხვდნენ, რასთანაც ჰქონდათ საქმე და ქართველი საზოგადოება ამას არ დაუშვებდა და ამიტომ დაიჭირეს ის პოზიცია, თითქოს თვითონაც აღშფოთდნენ და არ დაუშვებდნენ ამ სხდომის ჩატარებას. თუმცა, თავიდან ბოლომდე რაც საქართველოში ხდება დღეს და მათ შორის ის, რომ გავრილოვი დაჯდა კობახიძის სკამზე, ეს არის „ოცნების“ პოლიტიკა და აქამდე მიგვიყვანა ხელისუფლების პოლიტიკამ.

– ეს შექმნის თუ არა პრობლემას საერთაშორისო ფორუმებზე? როცა დაიწყებს ოფიციალური წარმომადგენლობა ოკუპაციაზე საუბარს, იქნება თუ არა ეს ფაქტები გამოყენებული, რომ თქვენ არ იყავით, ვინც პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე წამოასკუპეთო?

– რა თქმა უნდა. მთელი ეს საგარეო პოლიტიკა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს, საფრთხეს უქმნის საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ერთი ხელით ის მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და მეორე ხელით ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო არ გახდეს ევროპული ქვეყანა და მივიღოთ რუსული ტიპის ქვეყანა. თუ დავაკვირდებით, როგორ არის გაძლიერებული რუსული გავლენები საქართველოში, ეს არის რუსეთის ჰიბრიდული ომის ნაწილი.

– ამ თემის პირდაპირი ბმა დაინახეთ ლგბტქ თემასთან დაკავშირებით?

– აბსოლუტურად. ეს არის ერთი და იგივე პოლიტიკის სხვადასხვა მხარე. ეს გასაკვირი არ არის, ამას ჩვენ დიდი ხანია ვამბობთ. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მიზანმიმართულად, თანდათანობით, სხვადასხვა ხრიკით გვართმევს ევროპულ გზას და მიგვაქანებს რუსული ტიპის სახელმწიფოსკენ.

– პრეზიდენტმა თქვა, რომ არა მარტო ოკუპანტია რუსეთი, არამედ ქრისტიანობასაც ებრძვის და რატომ ვიღებთ ამ თამაშში მონაწილეობას. ეს მისაღები არგუმენტია?

– პრეზიდენტს ისეთი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები აქვს, რომ ამ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მისაღები და ადეკვატური, მაგრამ მთლიანობაში იმდენად არაადეკვატური განცხადებები აქვს, რომ ძნელია ირწმუნო მისი ბევრი განცხადება და ქმედება.

აქამდე მისი განცხადებები ასეთი მკაფიო არ ყოფილა. დღეს რაც ოპოზიციამ განახორციელა და დაინახეს, რომ მოსახლეობის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია, ყველამ შესაბამისი განცხადება გააკეთა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკაში რამე შეიცვლება.

სანამ ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია, ეს ვირეშმაკული პოლიტიკა გაგრძელდება და, სადამდე მივალთ, ეს არ ვიცი.

– მეტროშიც დაესხნენ უკვე საყურეების გამო ახალგაზრდა მამაკაცებს. სადამდე მივდივართ?

– ეს არის კატასტროფა და აბსოლუტური თავგასულობა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი ვადამდელი არჩევნებისთვის უკეთეს დროს ვერ იპოვის“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ „ქართული ოცნების“ წევრი კახა ოქრიაშვილი ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. რამდენად მოსალოდნელია ვადამდელი არჩევნები?

— პირველი რიგში რაც უნდა ვთქვა, ახლა ქვეყანა გადის ბეწვის ხიდზე. ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. დღეიდან საქართველოს პარლამენტის ნომერი პირველი სავარძელი ოკუპაციის მუზეუმს უნდა გადაეცეს, როგორც ექსპონატი. იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ შეიძლება, ქართველი სპიკერი იმ სავარძელში იჯდეს.

„ქართულ ოცნებას“, მის მესვეურებს მიეცათ საბაბი, რომ ეს შემთხვევა გამოიყენონ და რეალური საკადრო წმენდა დაიწყონ. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მე ჭიპი მაქვს მოჭრილი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაში და ვიცი, როგორ იგეგმება არა ერთი და ორი დღით ადრე, არამედ ამ სამუშაოებს წინ თვეები და ზოგჯერ წელიც კი უძღვის. როგორ შეიძლება, ზაქარია ქუცნაშვილის დონეზე დავიდეს ეს ყველაფერი და მისი ბოდიშით შემოვიფარგლოთ. ეს არ იქნება საკმარისი, პირველ რიგში, ეს უნდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ.

რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, თუ ეს უნდა ბიძინა ივანიშვილს, მაშინ ამაზე უკეთეს შანსს ვერ მიიღებს. დაითხოვოს ეს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მით უფრო, თუ ამას უკვე ის მაჟორიტარებიც ითხოვენ, რომლებიც თავის დროზე პარტიის დაშლითაც კი იმუქრებოდნენ.

— თქვენ გულისხმობთ საარჩევნო სისტემას, როდესაც ოქრია შვილი მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების წინააღმდეგ გამოდიოდა.

— დიახ! მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ მოვლენამ ძალიან ბევრ რამეს დაუდოს საფუძველი. თუმცა, მანამდე სრულიად სამართლიანად გაცოფებული ხალხია ქუჩაში გამოვარდნილი და ახლა მათ ადეკვატური პასუხი სჭირდებათ სახელმწიფოსგან. თუმცა, ძალიან რთულია, მას შემდეგ, რაც მოხდა, ადეკვატურობაზე იყოს საუბარი.

— „ევროპული საქართველო“ ირაკლი კობახიძის გადადგომას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით იმუქრება.

— ალბათ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს ირაკლი კობახიძემ, რომ თბილისში არ იმყოფება. ამას პოლიტიკურ ალიბად გამოიყენებს. როგორც იტყვიან, ცხრიანში მოარტყა. თუ კობახიძე აქ იქნებოდა და მოხდებოდა ის, რაც მოხდა, მაშინ ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა ხალხს. ახლა კი, როდესაც ის მივლინებით არის, არ მგონია, რომ მთლად სამართლიანი იყოს, მასზე გადატყდეს ჯოხი. არ ვფიქრობ, რომ გავრილოვის, საერთოდ რუსეთის დელეგაციის შემოშვების ნებართვა მან გასცა. ეს ალბათ უფრო მაღალ დონეზე გადაწყდა. კობახიძე ალბათ უფრო შემსრულებელია, ვიდრე რეალური ფიგურა და გავლენების მქონე.

— „ქართულ ოცნებას“ ბოლო დროს რატომ უფეთქდება ასე მიყოლებით? ერთი არ არის დასრულებული, მეორე კრიზისი იწყება.

— ასე იცის მართვის მოშლამ. შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს. ერთხელ შეიძლება გამოხვიდე, ორჯერ, მაგრამ მუდმივად ძალიან რთულია. არა მგონია, ეს ამბავი ასე მარტივად გადააგოროს „ოცნებამ“. რაღაც შიდა ძვრები მაინც მოჰყვება.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში პარიზში მსოფლიო გამოფენა ჩატარდა და ბისმარკი შეეცადა, გერმანიის დელეგაცია გაეგზავნა. ეს ის დროა, როდესაც საფრანგეთს გერმანიამ ორი მშვენიერი პროვინცია წაართვა. ამ დროს ბისმარკმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია არა საფრანგეთის პარლამენტში ცერემონიალში მონაწილეობის მიღებაზე ან კონფერენციაზე, საუბარია გამოფენაზე და იცით, ამას როგორი კრიზისი მოჰყვა?! საფრანგეთში მთავრობა გადადგა.

— შეიძლება, საქართველოს მთავრობაშიც გამოიწვიოს კრიზისი?

— უნდა გამოიწვიოს! მაშინ რა გამოდის, რომ 140 წლის წინ საფრანგეთში მეტი დემოკრატია იყო, ვიდრე დღეს ჩვენთან?! ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ. აქ საუბარია სახელმწიფოს ღირსებაზე.

მმართველ პარტიასთან სერიოზული პრეტენზიები სრულიად სამართლიანად აქვს ხალხს. იმის თქმა, რომ ეს პროტოკოლის შეცდომაა, ძალიან ტლანქი, მოუქნელი განცხადებაა. ეს მიდგომა ამ ჩიხიდან ხელისუფლებას ვერ გამოიყვანს. დიახ, ეს არის ჩიხი, საიდანაც ღირსეულად უნდა გამოვიდეთ.

ლგბტ-თემიც კი ღირსების მარშს ატარებს და რა ვქნათ, იმას დავჯერდეთ, რომ ქუცნაშვილს მოვუწოდოთ, მათგან აიღოს მაგალითი?! ასე არ გამოვა!

მე არ ვარ მათი ჩაგვრის, დევნის მომხრე. შეიძლება, მე და ვასაძე ამ მიმართულებით ერთნაირად ვფიქრობდეთ, მაგრამ ვასაძეს ვეტყოდი, ჩვენ ეს ომი წაგებული გვაქვს. მათ მომავალი აქვთ, მათ ევროპაში გაიმარჯვეს, ამერიკაში გაიმარჯვეს. საქართველოში ეს უკვე დროის საკითხია.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ადამიანს, ვინც უნდა იყოს ის, ღირსების გრძნობა აქვს და მით უფრო ღირსების გრძნობა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადაუვლიან!

ეს უნდა გააცნობიეროს პირველ რიგში დღევანდელმა ხელისუფლებამ. როგორც ცივილიზებულ, სუვერენულ სახელმწიფოს ეკადრება, ისე უნდა მოვიქცეთ და ისეთი პასუხი უნდა გავცეთ, ვინც უნდა იყოს ის.

ზაზა პაპუაშვილი: „რამდენი რამე კეთდება, ამაზე რატომ არავინ საუბრობს?!“

„ეს არის ერთი კაცის წუხილი, რომელიც იყო იმ ხასიათზე, რომ ეს თქვენთვისაც გაეზიარებინა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ზაზა პაპუაშვილი** პასუხობს.

— ბატონო ზაზა, ბოლო პერიოდია, აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ქვეყანაში სიტუაცია ირევა, ვითარება დაძაბულია, ხელისუფლებას კი უჭირს ამ ყველაფრის გაკონტროლება. რამდენად გააქტიურდნენ საშიში ძალები ჩვენს ქვეყანაში?

— ყველაფერი რუსეთთან ტოლობაში და ყველა ქმედებაში მათი დანახვა ასე არ იქნება სწორი. ეს ტენდენცია დამკვიდრდა იმ წლებიდან, იმ 90-იანი წლებიდან, აგენტობა, აგენტობა, აგენტობა, სულ ეს ისმის. ამ დროს ვერავინ ვერავის ვერაფერს უმტკიცებს და ერთმანეთს ისე ლანძღავენ.

მე შორიდან, დისტანციიდან შევხედავ მოვლენებს. კი ბატონო, იქმნებიან პოლიტიკური პარტიები და ამ პარტიებმა თავადვე უნდა ახსნან, რატომ იქმნებიან, რა აუცილებლობასთან გვაქვს საქმე, ეს უნდა ახსნან. თუ იმ პრინციპით იქმნებიან — ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო, მაშინ, რა გითხრათ, 200-ზე მეტი პარტიაა უკვე და ეს ყელში ამოუვიდა ხალხს.

— ქვეყნის არევაზე გკითხეთ...

— რაც შეეხება ქვეყნის არევას, რომ არ იყო პოლიტიკოსი და არ იყო პოლიტიკაში, ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანს ქვეყნის არევა რაში უნდა აწყობდეს?! ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. ვინც ამას გაბედავს, პასუხიც უნდა აგოს კიდეც. ქვეყანა სიმშვიდეში და აზროვნების დროს ვითარდება, როცა ის ანალიზს აკეთებს. არეულობაში ქვეყანა წინ ვერ წავა.

— დღეს რა ხდება, ვვითარდებით?

— ჩვენი ქვეყანა დღეს განვითარებისკენ მიდის. თუ ჟურნალისტების და ტელევიზიების თვალით შევხედავთ, მაშინ უბედურება გველოდება და მე არა მგონია, ესე იყოს.

— ჩვენი ბრალი ყოფილა ყველაფერი.

— ყველაფერს მუქ ფერებში ხედავთ. ერთს გეტყვით დიდი გულისტკივილით, ყველაზე დიდი მტერი დღესდღეობით საქართველოს ქართველი ყოლია, იმიტომ, რომ რასაც ქართველები უკეთებენ თავიანთ ქვეყანას, ეს სამარცხვინოა და მეტი არაფერი. ამას მტერიც კი ვერ მოახერხებს.

— რას გულისხმობთ?

— პოლიტიკაში ამდენი უნიჭო ადამიანის შეკრებით, რევანშისტული იდეებით, ძალაუფლების წყურვილით, აი, ეს არის დღესდღეობით ქართველთა თავშესაქცევი და არა ქვეყნის სიყვარული. დღეს ცოტას ესმის, რა არის ეს ქვეყანა, რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, რა ხდება სამეზობლოში, რა ხდება ქვეყნის გარეთ, რა მიმდინარეობებია, რა ლპება, რა უნდა შეიცვალოს ახლისკენ. თუ ეს ქვეყანა ამის ანალიზს ვერ გააკეთებს და მარტო ძალაუფლებაში დაბრუნების წყურვილი და პოლიტიკაში ყოფნის წყურვილი და ერთი კაცის დამარცხება იქნება მათი ოცნება, ოღონდ ივანიშვილი დავამარცხო, ოღონდ „ქართული ოცნება“ დავამარცხო... ამ ერთი ადამიანის გამო ერთიანდებიან, თან თავადაც ისე სძულთ ერთმანეთი, რომ ვერ იტანენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც ერთიანდებიან.

— ყველა „ოცნებიდან“ გასული თქვენს მოწინააღმდეგეს შეეკრა, თანაც ლანძღავენ ყოფილ პარტიას.

— ამ ადამიანების სრული ლუსტრაცია ხდება. სრულიად სხვა ფურცელი იშლება. უფრო მეტი რამ უფრო კარგად არის დანახული. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ 2020 წლის არჩევნების ბედი სწორედ ახლა უნდა გადაწყვიტოს ქვეყანამ, იმიტომ რომ ქართველი საზოგადოებისთვის, ყველა მოქმედი პირი ცნობილია, ვინ რომელ პარტიაში, ვინ საიდან სად გადახტება, ვინ გუშინ რას ლაპარაკობდა დღეს რას ამბობს.

რატომ ერთიანდებიან, რა არის ამ გაერთიანების საერთო ინტერესი? ასე რომ, არაფერი ახალი არ ხდება. ამ ქვეყანამ ყველა არჩევნებზე პასუხი გასცა მათ. ამიტომ აქედანვე უნდა ვიცოდეთ და რეცეპტი გვქონდეს 2020-თვის.

— ყველა ოპოზიციურ პარტიას აქვს პრეტენზია, შექმნას მესამე ცენტრი, რომელიც გაერთიანდება „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. რამდენად გამოვა ეს?

— პოლიტიკოსები კი დგანან და ელოდებიან, ოღონდ სადმე ხანძარი გაჩნდეს, რომ იქიდან სარგებელი ნახონ. წარმოუდგენლად შემზარავი სანახაობაა. ადამიანების ასეთი სულმოკლეობა და ვიწრო ხედვები მძიმე საყურებელია. რასაკვირველია, ბევრია შეცდომა, ბევრი რაღაცაა შესაცვლელი, მაგრამ ეს ხომ შენი ქვეყანაა, სხვანაირად უნდა შეცვალო, ფიქრით, ანალიზით, შრომით.

თუ უკეთესობა გვინდა, უკეთესობას ასეთი წარმართული ყიჟინა კი არ უნდა, ამას სიყვარულით პატრონობა და მოვლა უნდა. აბა შეხედეთ, რა ხდება.

— თავად „ოცნება“ რას აპირებს? 2020 ახლოვდება, ვხედავთ, რომ ყველა გააქტიურდა შინ თუ გარეთ, ყველას ხელისუფლებაში მოსვლა უნდა. რა შანსები გაქვთ?

— სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგი ახლა უნდა დადოს ხალხმა! ხომ ყველაფერი ნანახი აქვთ, ხომ ყველას იცნობენ. იციან, ვინ რისი გამკეთებელია, ვინ მოუწოდებს ქვეყანას, რომ მოდით, იარაღი ავიღოთ და დავამხოთ, მოდით, რევოლუცია მოვაწყოთ, ხალხმა ეს ყველაფერი ხომ იცის, ხომ იცის, რომ ზუსტად იგივე მოქმედი პირები არიან.

ამ ეტაპზეც და იმ ეტაპზეც „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიმარჯვოს, სხვა რა შანსია? ვის ჩაბარებთ გასაღებს ქვეყნის მმართველობის?! დამისახელეთ ერთი პარტია, ადამიანთა ჯგუფი.

— ხალხი თქვენზეც ძალიან გაბრაზებულია, თვლის, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვით.

— რასაკვირველია, გვაქვს. მეც ვაღიარებ ამას. შეცდომა გამოსწორდება, დანაშაული არ უნდა ჩაიდინო ქვეყნის წინაშე, რომელიც გამოუსწორებელია. ისეთი არაფერი ხდება, რომ ყიჟინა დაჰკრა, ქვეყანა ირღვევა და გაჩერდაო. იცით, რამდენი რამე კეთდება, ამაზე რატომ არავინ საუბრობს? რა, ამაზე რთული პერიოდები არ ჰქონია ქვეყანას?! პოზიტივზე რატომ არ არის ლაპარაკი?! სულ სიკვდილითა და უბედურებით რატომ იწყება ყველაფერი? ვინ აკეთებს ამას, გარეშე მტერი გვიკეთებს?!

— რითიც დავიწყეთ, იმით რომ დავასრულოთ, ანუ ამ ახალ-ახალ პარტიებს შანსი ნაკლები აქვთ?

— მე არ მინდა, რაღაცები ვიწინასწარმეტყველო. აღდგომა და ხვალეო... ვნახოთ, რა, როგორ, რისთვის, რატომ... სამოქმედო კითხვებია, რომლებზეც პასუხი უნდა გასცენ.

არჩევნებმა შეცვლა ვითარება და არა ამ ადამიანების სული, გონება და გული! მე არ ვიცი, თქვენ ამ ინტერვიუს როგორ აკინძავთ. ეს არის ერთი კაცის წუხილი, რომელიც იყო იმ ხასიათზე, რომ ეს თქვენთვისაც გაეზიარებინა.

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილი გვაშორებს ევროპას და გვაახლოებს რუსეთს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო ამ უმსგავსობაზე დუმს. მრავალრიცხოვანი ჯგუფი მცირე ჯგუფს განადგურებით ემუქრება. ეს უკვე გამოხატვის თავისუფლება აღარ არის. გამოხატვის თავისუფლება, ისე, როგორც ადამიანის ყველა უფლება, სახელმწიფომ უნდა დაიცვას, მაგრამ ეს არის პირდაპირ მოწოდება ძალადობისკენ, რაც არის სისხლის სამართლის დანაშაული.

— მარგველაშვილის პოზიცია თუ იყო თქვენთვის მისაღები, როცა თქვა, ვასაძის მარგინალიზაციის მცდელობააო?

— ჩემთვის მისი განცხადება იმ ნაწილში იყო მისაღები, სადაც მან ლგბტქ თემის პრობლემებზე ილაპარაკა, იმაზე თუ როგორ პიროებებში უწევთ თემის წევრებს ცხოვრება და ეს პრაიდი არის ძალადობაზე პროტესტი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა, რომ დავიცვათ თითოეული ადამიანი. მათი უფლებები უნდა იყოს დაცულიო, ამ ნაწილში სრულად ვეთანხმები, მაგრამ ვასაძის მოწოდებებში აზრი რომ დაინახა და არა — ძალადობისკენ მოწოდება, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო.

— ეს ორივე საკითხი დასავლეთთან პრობლემას ხომ არ შეგვიქმნის? ისმოდა ხმამაღალი განცხადებები არა მხოლოდ თემთან მიმართებით, არამედ დიპლომატიური წარმომადგენლობის დისკრედიტაციის მცდელობაც იყო.

— რასაკვირველია. მთავარი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის კონსტიტუცია დაცული და ამას ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლება. ეს უკვე კატასტროფაა სახელმწიფოსთვის. ეს არ არის ევროპული ტიპის სახელმწიფო, ეს არის რუსული სტანდარტი. ასე რომ, ეს პრობლემას უქმნის საქართველოს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებასა და თავისუფლებას, მის ძირითად ფუნდამენტურ უფლებებს, ეს არის სიტუაცია, რომელიც საქართველოშია შექმნილი.

რუსული ძალაა ვასაძის დაჯგუფება. ეს მოწოდებები იყო ზუსტად. პირდაპირ იყო მოწოდება, რომ სანამ ამერიკას არ მოვიშორებთ, იქამდე ჩვენი ტრადიცია საფრთხეშიაო. თითქოს ქართული ტრადიცია არის უმრავლესობის მიერ „სუსტების“ განადგურება. ეს არის ზუსტად ქართული ტრადიციების შეურაცხყოფა, რასაც ისინი თავს გვახვევენ.

რაც დღეს ხდება საქართველოში, სრულ შეუსაბამობაშია და დაბრკოლებას წარმოადგენს საქართველოს ევროპულ გზაზე. ჩვენ მივიღებთ ძალიან მძაფრ კრიტიკას საერთაშორისო ფორუმებზე და ამას მოჰყვება პოლიტიკური შედეგიც და ალბათ ისევ ოპოზიციასა და არასამთავრობოებს დაბრალდება ეს ყველაფერი, რა საყვედურებსაც ამ ხელისუფლებას ეტყვიან.

მთავარია, რომ მიზანმიმართულად გვაშორებენ ევროპული ტიპის სახელმწიფოს და ვუახლოვდებით რუსული ტიპის სახელმწიფოს, სადაც კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა კი არაა დაცული, არამედ, პირიქით, ძალის უფლება.

ამას ჰქვია სრული განუკითხაობა და თვითნებობა და არა — კანონის უზენაესობა.

სიმონ ნოზაძე: „გავრილოვი პარლამენტში არ უნდა მისულიყო“

გულიკო ბალაძე

რა სცენარი თამაშდება ბოლო დროს თბილისში? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის უმრავლესობის წევრი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე **სიმონ ნოზაძე** პასუხობს.

– ბატონო სიმონ, რა სცენარი ხორციელდება დღეს საქართველოში? რასთან გვაქვს საქმე?

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ერთი მხრივ, გავრილოვის საქართველოში ჩამოყვანა, პარლამენტში მიყვანა, პარლამენტსა და მის გარეთ სიტუაციის აფეთქება, მეორე მხრივ, ლგბტ-ებისა და მათი მოწინააღმდეგეების გააქტიურება.

– საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები აქვს აღებული და მისასალმებელია, თუ რომელიმე ფორუმი ჩატარდება საქართველოში. მათ შორის, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ღონისძიება, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მოხდა გაუგებრობა.

– რა გაუგებრობა, რატომ შემოუშვეს?

– ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ამ ასამბლეის პრეზიდენტი გახლდათ გავრილოვი. სიმართლე გითხრათ, აქამდე ეს მეც არ ვიცოდი. თან მე რომ ვიკითხე, მითხრეს, რომ ასამბლეის სხდომას ბერძენი ეროვნების გენერალური მდივანი წაიყვანდა.

ჩემთვის ძალიან აღმაშფოთებელი იყო, საქართველოს პარლამენტის სავარძელში გავრილოვი რომ დავინახე. ეს ყველაფერი ჩემთვისაც მოულოდნელი გახლდათ. რომ იცოდეთ, თავიდან ხმაური უმრავლესობამ ატეხა. პირველი კომენტარი თამარ ჩუგოშვილისაგან გავიგონე. მეც ჩემი პოზიცია ჩამოყალიბებული მქონდა და, რომ ვიკითხე, ბევრის პოზიცია ემთხვეოდა ჩვენს პოზიციას – ღირსების აქციისთვის ყველა გამოთქვამს მზადყოფნას.

– ერთია შემოშვება, მეორეა, როდესაც ამდენის უფლებას მისცემ. ასამბლეის სესია სადღაც ხომ ტარდებოდა, პარლამენტში რა უნდოდათ?

– რადგან პასუხისმგებლობას ვიღებთ საერთაშორისო ფორუმის ჩატარებაზე, იქ პერსონიფიცირება, თუ რაღაც დანაშაული არ აქვს ჩადენილი და იმის თქმა, არ შემოხვიდეო, რთულია. ქვეყანას საერთაშორისო იმიჯი გაქვს. შეიძლება, ბევრ სხვა მართლმადიდებელ ქვეყანასაც არ ეხატება გულზე, კონკრეტულად, ეგ დეპუტატი, მაგრამ შეუშვებენ, უარს არ ეტყვიან.

ჩემთვის აღმაშფოთებელი ის არის, რომ გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში იჯდა. არც ის იყო სასიამოვნო, სხდომა გავრილოვს რომ მიჰყავდა და ლაპარაკობდა. ვიცოდი, რომ სხდომა ბერძენს უნდა წაეყვანა.

– ამბობთ, არ იცოდით, რომ გავრილოვი იყო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თავმჯდომარე, მაგრამ რას აკეთებენ საქართველოს სპეცსამსახურები? ამასთანავე, ზაქარია ქუცნაშვილმა ხომ იცოდა, რატომ დაუშვა ასეთი რამ? ის უმრავლესობის წევრია.

– ზაქარია ქუცნაშვილი თვითონ უკეთესად გაგცემთ პასუხს – საუბარიც კარგი იცის და ამ საქმეშიც უკეთესადაა ჩახედული. ორი ასეთი პოზიციაა. ერთი – ჩვენ საერთაშორისო ვალდებულებების ერთგულები ვართ. მისასალმებელია ნებისმიერი საერთაშორისო ფორუმის ჩატარება საქართველოში. ჩვენ ევროპული თანამეგობრობისა და ევროპული სივრცის სრულუფლებიანი წევრი ვართ. ამ შემთხვევაში ვიზალიბერალიზაციას ვგულისხმობ.

მეორე – ჩემთვის აღმაშფოთებელია ის, რომ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში თავისი აგრესიულობით გამორჩეული რუსი დეპუტატი იჯდა. როგორც ვიცი, გავრილოვი თავის ქვეყანაშიც ოპოზიციონერი დეპუტატია.

– მომხდარის გამო პარლამენტის თავმჯდომარის, კობახიძის, გადადგომას მოითხოვენ. თქვენ მხარს დაუჭერთ მისი გადადგომის მოთხოვნას?

– არა, რატომ უნდა გადადგეს? ჩემი აზრი ასეთი იყო – ეს ღონისძიება სხვაგან უნდა ჩატარებულიყო, სადმე სხვა შენობაში.

– ვინც დაუშვა დანაშაულის ტოლფასი შეცდომა, პასუხისმგებლობაც მასზეა. პარლამენტის თავმჯდომარემ გავრილოვი თავის სავარძელში რატომ ჩასვა?

– იმ დროს პარლამენტის თავმჯდომარე თბილისში არ იმყოფებოდა, ბაქოში იყო წასული. პარლამენტის თავმჯდომარესთან, უბრალოდ, შეთანხმებული იყო, რომ ასამბლეის სხდომა ტარდებოდა საქართველოში.

ყველაზე მოწყობილი საერთაშორისო ფორუმებისთვის სწორედ პარლამენტის სხდომათა დარბაზია. გახმოვანება, სინქრონული თარგმანი, ხმის მოთხოვნა, გამოსვლაზე მოთხოვნა და სხვა – ყველაფერი ტექნიკურად უზრუნველყოფილია. ალბათ, ამის გამო გადაწყდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ასამბლეის სხდომის ჩატარება, მაგრამ ეს მაინც ორგანიზატორების შეცდომაა.

– ამ წუთში (როცა ჩვენ ამ ინტერვიუს ვწერთ) ევრონაცებსა და ნაცებს დაკავებული აქვთ პარლამენტის დარბაზი. აცხადებენ, რომ მოხდა ღალატი. ფაქტობრივად, ვისი საქმე გააკეთა ქუცნაშვილმა? რატომ მიიყვანა გავრილოვი მაინცდამაინც პარლამენტის სასესიო დარბაზში?

– ქუცნაშვილის მაგივრად კომენტარს მე ვერ გავაკეთებ, მას ჰკითხეთ.

– ღალატზე რას იტყვით?

– მე ზაქარიას მხრიდან ღალატს გამოვრიცხავ. ეს მთლიანად ორგანიზატორების ხარვეზია.

– რას ნიშნავს იმ ბანერის დახევა, სადაც წერია, რომ რუსეთი ოკუპანტია?

– სად დახიეს ეგ ბანერი?

– ქუცნაშვილმა დაუხია მოქალაქეებს, რომლებიც მომხდარს აპროტესტებდნენ.

– რუსეთი რომ ოკუპანტია, ამას ლაპარაკი რად უნდა, ახალი ამბავი არ არის.

– პირველ დღეს უკრაინის ელჩმა დატოვა ასამბლეის სხდომა. რატომ საქართველოს დელეგაციის არც ერთმა წევრმა არ დატოვა პროტესტის ნიშნად სხდომა? ერთ დეპუტატს მაინც დაეტოვებინა და თქმულიყო, რომ პროტესტი დაფიქსირდა ოკუპაციის გამო. მეორეც – რა მართლმადიდებელი ქვეყანა რუსეთია, როცა მეზობელ მართლმადიდებელ ქვეყნებს თავს ესხმის, ადამიანებს ხოცავს და ტერიტორიების ოკუპაციას ახდენს?

– საერთაშორისო ფორუმებს თავისი ფორმატი აქვს. მაგის თქმა, რომ ვინმემ ღალატი ჩაიდინა... საერთაშორისო ფორუმის ჩატარება ყოველთვის გამართლებულია. შეგვიძლია, რუსეთს მაგ ტრიბუნიდანაც ვუთხრათ, რომ ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. უკრაინის ელჩმა რატომ დატოვა ასამბლეის სხდომა, თვითონ განმარტავს.

– უკრაინის ელჩმა თქვა, რომ რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და პროტესტის ნიშნად ასამბლეის სხდომა დატოვა.

– გასაგებია. მაშინ ეს უნდა გამოვიყენოთ. მსოფლიომ ხომ გაიგო, რომ რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა. კიდევ ერთხელ უნდა გავახმოვანოთ. ეგ ტრიბუნა მაგისთვის უნდა გამოვიყენოთ.

– სპეცსამსახურები რას აკეთებენ, ამაზე რაიმეს თქმა არ შეგიძლიათ?

– სპეცსამსახური შეამოწმებდა და ეტყოდა, ვინ ვინ არის. გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ. ფორუმი რომ ტარდება, უმიზეზოდ ვერ ეტყვი, შენ შემოდი, შენ არ შემოხვიდეო. ყველაფერი კანონის შესაბამისად ხდება.

– გავრილოვს ხმა აქვს მიცემული ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარებაზე.

– გავრილოვს ეს უნდა შევახსენოთ და ტრიბუნა კიდევ ერთხელ უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია და დეოკუპაცია უნდა მოხდეს.

– ნაცებმა თქვეს, რომ „ოცნებას“ სპეციალურად მიჰყავდა აქეთ საქმე.

– პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვითარებას ყოველთვის გამოიყენებს, მაგრამ მაგის თქმა აბსოლუტურად გაუმართლებელია, რომ „ოცნებამ“ ეს განგებ გააკეთა. ეს მართლმადიდებლური ფორუმია. ჩვენ მართლმადიდებლობის ტრიბუნა ძალიან ძლიერი გვაქვს. ჩვენ ჩვენი გამორჩეული წონა გვაქვს მართლმადიდებლობის მსოფლიო საბჭოში და გვინდა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ტრიბუნა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ვინ ჩასვა რუსი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სირბილის დაწყებამდე კი მან განცხადება გააკეთა და შეეცადა, თავი წმინდანად და აღშფოთებულად წარმოეჩინა.

მისი თქმით, ყველასთვის ძალიან მძიმე სანახავი იყო ის, რაც ვიხილეთ პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

– რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი და ამ ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი, იჯდა თავმჯდომარის სკამზე, რაც იყო მძიმე სანახავი, მძიმე სურათი.

სამწუხაროდ, არ მქონდა მყისიერად საჯაროდ რეაგირების საშუალება, გამომდინარე იქიდან, რომ არ ვარ საქართველოში, შემატყობინეს ამ ფაქტის თაობაზე და, როგორც კი შევიტყვე, მაშინვე მოვითხოვე სესიის შეჩერება და ასეთი ფორმით სესიის გაგრძელების არდაშვება.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ რუსეთი არის ის ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები. ამაზე ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ გუშინაც, როცა ვმონაწილეობდი სესიის გახსნაში და იმ ქმედებებს, რომლებიც მომდინარეობს რუსეთის ფედერაციიდან, არა აქვს არანაირი საერთო არც ქრისტიანობასთან და არც მართლმადიდებლობასთან და ის, რაც ვიხილეთ პარლამენტის სხდომათა დარბაზში იყო, აბსოლუტურად მიუღებელი, – ვკითხულობთ ირაკლი კობახიძის განცხადებაში.

არადა, როგორც ირკვევა, პარლამენტის თავმჯდომარემ ძალიან კარგად იცოდა, რომ გავრილოვი მის სკამზე წამოსკუპდებოდა.

რუსთავი 2-მა გაავრცელა ბრძანება, რომელსაც ხელს ირაკლი კობახიძე აწერს. ბრძანების მიხედვით, ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა, რომ პარლამენტში სხდომის წამყვანი რუსი დეპუტატი იქნებოდა. ბრძანებაში წინასწარ არის გაწერილი, რომ ტრიბუნა სხდომის წამყვანს უნდა დაეკავებინა.

საპარლამენტო უმრავლესობაში კი აცხადებენ, რომ ირაკლი კობახიძეს სავარძელი არავისთვის დაუთმია და ეს პროტოკოლური შეცდომა იყო.

– ირაკლი კობახიძეს სავარძელი არავისთვის დაუთმია, კობახიძეს აქვს მორალური უპირატესობა, როგორც ბოკერიასთან და მის თანაგუნდელებთან მიმართებით ისევე ჩვენი გუნდიდან იმ ადამიანებთან მიმართებით, ვინც წავიდა.

არავის არავისთვის სავარძელი არ დაუთმია, მე ვფიქრობ, ამ ადამიანებმა, რუსულმა დელეგაციამ, უნდა დატოვონ საქართველო, ბოდიში უნდა მოიხადონ როგორც პარლამენტის, ასევე ქართველი საზოგადოების წინაშე. რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების აღშფოთება იყო სამართლიანი და მეც ვუერთდები, – აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

განმარტებების გაკეთება ზაქარია ქუცნაშვილსაც დასჭირდა, რომელსაც მანამდე გავრილოვმა ხატი აჩუქა. რუსი კომუნისტის საჩუქარმა ზაქარიას სახე გაუბრწყინა, მაგრამ ძალიან მალე ის ბოდიშებად დაიღვარა. ისეთი შეშფოთებული სახე ჰქონდა, რომ ივანიშვილს მასთანაც ექნებოდა დარეკილი.

ოპოზიცია აცხადებს, რომ ქუცნაშვილის ბოდიში არავის არაფერში სჭირდება. მათი განცხადებით, რუსი დეპუტატების მასპინძელს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს.

საქართველო ნორმალური სახელმწიფო რომ ყოფილიყო, ზაქარია ქუცნაშვილსაც დატოვებული ექნებოდა დეპუტატის მანდატი და ირაკლი კობახიძეც გადაყენებული იქნებოდა.

სპიკერი ვერ გადააყენეს, მაგრამ მისი სკამი გად

დავით ლორთქიფანიძე: „მინისტრობიდან წასვლა სერგეენკომ თავად მოინდომა“

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო დავით, ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებების მორიგი ტალღა იქნება? სერგეენკოს გადადგომა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სხვა ცვლილებებიც იქნება?

– ვფიქრობ, ჯანდაცვის მინისტრის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება თვითონ დათოს აქტიურობამ განაპირობა – წასვლა თვითონ მოინდომა. ბოლომდე კარტებს ვერ გავხსნი, მაგრამ ჯანდაცვის მინისტრმა თვითონ გადაწყვიტა, წასულიყო. მას რომ არ მოენდომებინა, არა მგონია, გაეშვათ.

ასევე სრულიად ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ მან გაუწია რეკომენდაცია მინისტრის პოსტზე ახალ კანდიდატურას. დათოს გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, რადგან მას არაერთი წელია ვიცნობ და ვიცი მისი ხასიათი, მისი პოზიცია, პრინციპულობა. ამიტომ მის ბოლო განცხადებაში არასწორს ვერაფერს ვხედავ. ის გულწრფელია.

– ინფორმაცია გამოვიდა, რომ სერგეენკომ ბიძინა ივანიშვილს რაღაც აწყენინა. ბიძინა ივანიშვილმა დავალება მისცა და სერგეენკომ არ შეასრულა.

– არა, ეგ სწორი არ არის, ტყუილია. ბიძინა დათოს იმხელა პატივს სცემს, ვიცი მათი ურთიერთობა, არაერთხელ ვარ მომსწრე ამ ურთიერთობისა, რომ გამორიცხულია, ბიძინა ივანიშვილს მისთვის რამე ისეთი დაევალებინა, რომელიც კომპეტენციის ჩარჩოებს სცდებოდა. მით უფრო, მის კომპეტენციის ფარგლებში ისეთი რამ დაევალებინა, რომელიც მორალისა და კანონის საწინააღმდეგო იქნებოდა.

– მის კომპეტენციაში შედიოდა და არ შეასრულაო.

– არა. ინფორმაციას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ თქვენ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, მე მაგ პოზიციას ვერ გავიზიარებ. ვიცნობ რა დათო სერგეენკოს, ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს და ვიცი მათი ურთიერთობა, გამოვრიცხავ.

– რას ნიშნავს, როცა წარმატებულად ცნობილი, რეიტინგული მინისტრი მიდის პოსტიდან?

– შეიძლება, დათომ პირველმა გადადგა ნაბიჯი ქართულ რეალობაში, ქართულ პოლიტიკაში, როდესაც წარმატებული მინისტრი გადადგა. თუმცა, ვფიქრობ, პირველი მაინც ირაკლი ღარიბაშვილი იყო, რომელმაც თვითონ გადაწყვიტა წასვლა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. დათო არის მეორე, რომელმაც ამ სტანდარტის დამკვიდრებას ხელი შეუწყო. მართლაც წარმატებული მინისტრი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მისი მინისტრობის სავიზიტო ბარათია. იგივე „ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ახლა იდგმებოდა სერიოზული ნაბიჯები პირველადი ჯანდაცვის გააქტიურების კუთხით. ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადადგა. თქვენი გაზეთის საშუალებით მას მადლობა მინდა გადაუხადო ვანის ცენტრალური საავადმყოფოს მშენებლობაში ძალიან სერიოზული მხარდაჭერისთვის, რაც გამოხატა მან პირადად ჩემი ინიციატივების მხარდასაჭერად, იგივე რაიონის სასწრაფოებით უზრუნველყოფის კუთხით.

რაიონების სასწრაფო დახმარების სამსახურების განახლება ხდებოდა. თუ რაიონს 10 სასწრაფო დახმარების ბრიგადა ჰყავდა, 5 მანქანით უზრუნველყოფდნენ. დათომ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და რამდენი ბრიგადაც ჰყავდა რაიონს, იმდენი მანქანით დააკმაყოფილა, მათ შორის, მაღალი გამავლობის ხიდიანი მანქანებით.

– თქვენმა „ოცნების“ წევრობამ უფრო გაჭრა?

– არა. ვფიქრობ, მან ჩემი აქტიურობა დაინახა და მხარი დამიჭირა. გულწრფელად გეუბნებით, აქ მთავარი იყო დათოს პრინციპული პოზიცია. მე საკითხი არაერთხელ დავსვი და მან მხარი დამიჭირა. ბოლოს, როდესაც გადამწყვეტი მომენტი იყო, რომ არა მისი ძალიან ხისტი განცხადება ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის მიმართ, ვანის საავადმყოფო ალბათ მაინც აშენდებოდა, მაგრამ გაცილებით გვიან. 16 ივნისს ჩვენ გავხსენით ვანის ახალი საავადმყოფო.

– სერგეენკოს უწყების მუშაობაში ნაკლოვანებებიც იყო, სერგეენკოს მოადგილესთან დაკავშირებული სკანდალიც იყო და სხვა პრობლემებიც არსებობდა. სერგეენკო ამ პროცესში დაიღალა თუ პარტიაში ბიძინა ივანიშვილს სანდო კაცი დასჭირდა და უნდა, იქ გადაიყვანოს?

– როდესაც ქვეყნის ბიუჯეტის დაახლოებით 34% იხარჯება ჯანდაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ, რა თქმა უნდა, ამხელა თანხების განკარგვის პირობებში, შეიძლება, რაღაც გაუთვალისწინებელი გადაცდომებიც იყოს, მაგრამ ის, რომ რაღაც კრიმინალთან ყოფილიყო ეს დაკავშირებული, ამას ვერ დავუშვებ.

მაგისთვის არსებობს კომპეტენტური ორგანოები. აუდიტის სამსახური ამოწმებს და რაღაც არ მახსენდება, ბიუჯეტის ხარჯვაზე რომელიმე წლის ანგარიშში რაიმე ისეთი პრობლემა ყოფილიყო.

სერგეენკო სამაგალითო მინისტრი რომ არ ყოფილიყო, პრემიერ-მინისტრის მრჩევლად გადაიყვანდნენ? დათო ალბათ მაინც შეინარჩუნებს ძალიან მნიშვნელოვან გავლენასა და როლს საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ჩაფიქრებული ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების კუთხით. მას უფრო მეტი დრო ექნება, რომ ჯანდაცვის რეფორმებზე უფრო მეტი იმუშაოს, პრემიერ-მინისტრსა და ჯანდაცვის მინისტრს შორის პირდაპირი მეკავშირე იყოს.

რაც შეეხება პარტიის კუთხით სერგეენკოს პიროვნების საჭიროებას, მე მხოლოდ მივესალმები მსგავსი კომპეტენციის, პროფესიონალ და წესიერ ადამიანებს.

კულუარულად, მაგრამ სერგეენკო განიხილებოდა პრეზიდენტის პოსტზე. ამიტომ ვფიქრობ, დათოს აქვს იმის ბეგრაუნდი, რომ პერსპექტივაში თავი შეგვახსენოს კიდევ ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ პოსტზე.

– თუ გსმენიათ შეფასებები, კადრების შერჩევასთან დაკავშირებით – საიდან მოდიან, როგორ შეირჩევიან? გარკვეულ თანამდებობებზე „ქართუში“ ნამუშევარი კადრები ინიშნებიან. ახლა საჩხერის საავადმყოფოს მთავარი ექიმი გადმოიყვანეს მინისტრად. ისინი ბიძინა ივანიშვილთან ასოცირდებიან. მოსწონს ეს ხალხს?

– საზოგადოების რაღაც ნაწილს, ალბათ, არ მოსწონს. ალბათ საზოგადოების იმ ნაწილს არ მოსწონს, რომელმაც არ იცის ამა თუ იმ კადრის ბიოგრაფია. ამ შემთხვევაში საუბარია ეკა ტიკარაძეზე. მე ვიცნობ მის ბიოგრაფიას. ძალიან ბევრი პოზიტივია.

მას საინტერესო გამოცდილება აქვს მიღებული გერმანიის, ავსტრიისა და სხვა უცხო ქვეყნების კლინიკებში, დიდი სწავლა გამოცდილება და დიდი პრაქტიკა აქვს. ბოლო წლების განმავლობაში ის იყო საჩხერის კლინიკის მენეჯერი. მე ვულოცავ ეკა ტიკარაძეს ამ მნიშვნელოვან პოსტზე დანიშვნას და წარმატებებს ვუსურვებ.

საჩხერის კლინიკა ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი ტექნოლოგიებით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ბიძინასს პლუსია. ამ შემთხვევაში რატომ არის კადრი შერჩეული საჩხერიდან, ჩემთვის ეს არ არის გამაღიზიანებელი.

– ასეთი შემთხვევების გამო ამბობენ, საჩხერელობა პრივილეგიაა. თუმცა, ასე ჩემი მეუღლეც საჩხერელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მას პრივილეგია არ შეხებია და, ცხადია, არ სარგებლობს ამგვარი პრივილეგიით.

– მხოლოდ პირადობაში საჩხერელობის ჩაწერა არ არის საკმარისი, თორემ დღეს ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, საჩხერეში ხომ არ გადავეწეროთო. მე დავამშვიდე, რომ არ იყო აუცილებელი საჩხერეში ჩაწერა. სადაც არის ჩაწერილი, იქაც დაინახავენ, თუ მისი გამოცდილება დასჭირდებათ. იურიდიული მისამართი არ არის ხელისშემშლელი.

მთავარია, ვინც კადრებს ეძებს, კარგად მოძებნოს. მადლობა უფალს, საქართველოში ჩვენ კადრების პრობლემა არ გვაქვს. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს კადრების მოძიების სერიოზული პრობლემა. აღმასრულებელი სტრუქტურები იქნება, საკანონმდებლო, ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამაში, მგონი, ყველა ვთანხმდებით.

– სხვა ცვლილებებიც არის მოსალოდნელი?

– ჩემი ინფორმაციით, შემოდგომამდე არანაირი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, გარკვეული ცვლილებები იქნება. შემოდგომაზე აუცილებელიც კი იქნება რაღაც ცვლილებების განხორციელება.

– თქვენ გარკვეული პერიოდის წინ მითხარით, ბიძინა ივანიშვილმა რაღაც ინიციატივები უნდა წამოაყენოს, ამის დრო უკვე არისო. უახლოეს პერიოდში რაიმე სიახლეები თუ არის მოსალოდნელი?

– აუცილებლად. მოსახლეობაც და ჩვენც მოლოდინის რეჟიმში ვართ. პოზიტიური ცვლილებები გარდაუვალია. ჩვენს მოსახლეობას სჭირდება ძალიან სერიოზული გამხნევება.

– რა პოზიტიური ცვლილებები შეიძლება იყოს და რა კუთხით? ხომ არ არის რაიმე მონახაზი თქვენამდე მოღწეული?

– ზაფხული უფრო მკვდარი სეზონია. მე მაინც ვფიქრობ, რომ პოზიტიური ცვლილებები სექტემბრიდან იქნება. ეს დაკავშირებული იქნება საკადრო თემებთან.

– საზოგადოებას უფრო სოციალური პრობლემების მოგვარება აინტერესებს. ამ კუთხით ხომ არაფერია დაგეგმილი?

– სოციალური კუთხით ამ წლის ბიუჯეტი ისე არის გაწერილი, რომ რაიმე ისეთი პოზიტიური და რადიკალური ცვლილებები ვერ განხორციელდება. თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომავალი წლიდან პენსიის მატებაა გათვალისწინებული.

სექტემბერში მთავრობა 2020 წლის ბიუჯეტს რომ შეიტანს პარლამენტში, ვფიქრობ, იქ ბევრი რამ იქნება გათვალისწინებული. საარჩევნო წლის გამო კი არა, საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით, ცვლილებები აუცილებელია. ცვლილებების გარეშე 2020 წელს დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება გაგვიჭირდება.

– პენსია 20 ლარით იზრდება?

– პენსია 20 ლარით იზრდება, რაც, რა თქმა უნდა, აღფრთოვანების საფუძველი არ არის. თუმცა, ცვლილება იქნება. მომავალი წლის ბიუჯეტში ცვლილება იქნება ასევე განათლების მიმართულებით. პროცენტულად უფრო მეტი დაიხარჯება. მოკლედ, მომავალი წლისთვის ბევრი საინტერესო ცვლილება განხორციელდება.

– იმერეთის გუბერნატორი დაინიშნა?

– თქვენ წარმოიდგინეთ, არ დანიშნულა. იქ არის გუბერნატორის პირველი მოადგილე ზვიად შალამბერიძე, რომელიც, ჯერჯერობით, ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურას.

– ხომ არ სჯობს, საჩხერეში გადმოეწეროთ.

– თქვენ საჩხერელი ყოფილხართ და გადამწერეთ საჩხერეში.

– ხომ იცით, რატომ გეუბნებით. იმერეთის გუბერნატორის პოსტზე თქვენს დანიშვნაზე საუბარი ხომ არ არის?

– ჰო, მაგრამ მე იმერეთში ვარ ჩაწერილი, თბილისში კი არა. ვანში ვარ ჩაწერილი, თქვენ თუ მთავაზობთ, საჩხერეში ჩავიწერები.

ვახტანგ ხომიზურაშვილი: „ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების პროვაიდერის როლში გამოდის“

– ქვეყანაში ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები არ იძლევა ლარის ასე გაუფასურების საფუძველს, – ასე აფასებს კაპიტალი ბაზრის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი ბოლო ორ დღეში ლარის გაუფასურების ტენდენციას. როგორც ექსპერტი „კომერსანტთან“ განმარტავს, გასათვალისწინებელია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება შეინიშნება, მაგრამ რეალურად კურსის ასეთი ნახტომები არ არის რელევანტური ეკონომიკურ პარამეტრებთან მიმართებაში.

მისი თქმით, რა წესებიც კურსის ფორმირებაში Bloomberg-ის სისტემაში გამოიყენება და ის კურსი, რაც ამის შედეგად დგება, რეალურად არ ასახავს ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას. როგორც ხომიზურაშვილი აცხადებს, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს – მათ შორისაა ის, რომ სისტემაში ცოტა საფინანსო ინსტიტუტები მონაწილეობენ, საუბარია, 2-3 ძირითად ბანკზე. Bloomberg-ის სისტემაში კი დღეს ბანკები კლიენტურის დავალებებს არ ასრულებენ.

– ადრე კლიენტი ავალებდა ბანკს, რომ მისთვის ვალუტის გარკვეული რაოდენობა შეეძინა. მაშინ გამოყენებული იყო, კურსის ფორმირების წესი და მას ერქვა ფრანკფურტის ბირჟის წესი, ანუ ფრანკფურტის ფიქსინგი. ეს იყო რეკომენდირებული როგორც სავალუტო ფონდის მხრიდან, ასევე ლონდონის ცენტრალური ბანკის და ფრანკფურტის ბირჟის მხრიდან. ეს რეკომენდაციები საკმაოდ კვალიფიციური იყო და მაშინ ამან ძალიან კარგად იმუშავა.

დღეს ბანკები პირდაპირ ყიდულობენ თავისთვის ვალუტას და უკვე შემდეგ აკეთებენ კლიენტურაზე გადაყიდვას. ანუ დღეს კლიენტურის დავალებები პირდაპირ ვალუტის შეძენის თვალსაზრისით ვეღარ სრულდება. კლიენტმა არ იცის და ბანკი არც ეუბნება რა კურსით ყიდულობს ის ვალუტას Bloomberg-ზე. აქედან გამომდინარე, კლიენტურის სეგმენტი გამოეთიშა და ის მოცულობები, რაც სავაჭრო სისტემაში უნდა ყოფილიყო, არ არის. შესაბამისად, დღეს რამდენიმე ბანკმა შეიძლება დადოს პატარა მოცულობების გარიგება, რაც თავისთავად არ ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. კურსი კი ამის შედეგად დგება, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

მისივე განმარტებით, ბანკები შესაძლოა სპეკულაციურ ოპერაციებსაც მიმართავენ, რაც კურსის ცვალებადობაში გამოიხატება.

ხომიზურაშვილის განმარტებით, პრობლემაა ისიც, რომ სავალუტო გარიგებები, რომელიც Bloombrg-ის სისტემაში რეგისტრირდება, მარეგულირებლის მხრიდან მისი მონიტორინგი და კონტროლი არ ხდება.

– რეალურად, შეიძლება ორმა ბანკმა დაარეგისტრიროს გარიგება პირობითად, 1 მილიონ დოლარზე და არ შეასრულოს. ეს იმოქმედებს კურსზე და ამის შემმოწმებელი არ არსებობს. რეალურად, კურსზე ზემოქმედების რამდენიმე საშუალება აქვს ბანკებს. ამას ემატება გაუმჭვირვალე სისტემა და უკვე ჩნდება ნეგატიური მოლოდინები. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბიზნესსექტორში ყველას, ვისაც ვალუტა სჭირდება თუ არა, რეზერვებს ქმნის. ლართან მიმართებაში უნდობლობის მომენტი ქმნის ამ ყველაფერს, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

მისივე განმარტებით, ეროვნულმა ბანკმა უნდა გადახედოს კურსის ფორმირების მექანიზმს და დააწესოს ის წესები, რომელიც გამოყენებული იყო ფრანკფურტის ფიქსინგის დროს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე.

– ჩვენ გადმოვიღეთ ლონდონის სქემა, მაგრამ იქ უამრავი მონაწილე და უამრავი ტრანზაქციაა. შესაბამისად, ამ მოდელის საქართველოში გადმოტანა შეუძლებელია, – განმარტავს ხომიზურაშვილი.

ექსპერტი აცხადებს, რომ დღეს ლარის კურსს ქვეყანაში ორი-სამი მსხვილი ბანკი განსაზღვრავს, ამას ემატება ის, რომ ეროვნული ბანკი არ ახდენს ორმაგ ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე. ანუ, ცალმხრივად მონაწილეობს, მხოლოდ და მხოლოდ დოლარის შესყიდვის თვალსაზრისით.

ხომიზურაშვილის განმარტებით, ლარის კურსის ასეთი ცვალებადობით კომერციული ბანკები ხეირობენ.

– ეს მათი მხრიდან ნორმალური მოვლენაა. ბანკი არის კომერციული სტრუქტურა და როდესაც ის ხედავს შესაძლებლობას, რომ საკონვერსიო ოპერაციებიდან დამატებითი მოგება მიიღოს, ასე აკეთებს, ეს მისი მხრიდან ნორმალურია. მთავარია ის, რომ მარეგულირებელმა მაქსიმალურად შეზღუდოს სპეკულაციური ოპერაციების შესაძლებლობა, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

კითხვაზე, მაშინ რატომ არ აქცევს ეროვნული ბანკი ამ მომენტს ყურადღებას, ხომიზურაშვილი განმარტავს, რომ სავარაუდოდ, ეროვნული ბანკი გამოდის კომერციული ბანკების პროვაიდერის როლში.

– ეროვნული ბანკი როდესაც ამბობს, რომ თარგეთირებას აკეთებს და მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციას, ფასებს აკვირდება, შესაბამისად, საერთოდ არ აინტერესებს ფულის მასის რეგულირება და სავალუტო პოლიტიკის გატარება, რაც სწორი არ არის. გამოცალკევება არ შეიძლება, ეს არის ერთიანი რეგულირების სისტემა, სადაც ეროვნული ბანკი უნდა მონაწილეობდეს. ის რომ არ ეხება, არის სირაქლემას პოზიცია, რაშიც ახლა ეროვნული ბანკი იმყოფება. დღეს აბსოლუტურად არაპროდუქტიულია მისი როგორც ფულად-საკრედიტო, ისე სავალუტო პოლიტიკა, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე 13:00 საათზე ერთი დოლარი 2,7900 ლარად ივაჭრება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გუშინ დადგენილი კურსით, დღეს ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7664 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.0995 ლარია.

კომერსანტი

გურამ ფალავანდიშვილი დააკავეს

„ამდენი დაჭერით ცოტა შევთხელდი და უფრო კარგ ფორმაში ვარ“

გუშინ, 20 ივნისს, გურამ ფალავანდიშვილი დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ფალავანდიშვილთან სამართალდამცავები გამოკითხვაზე დაბარების მიზნით უწყების ჩასაბარებლად მივიდნენ, როდესაც ფალავანდიშვილმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„უკანონო ფორმირების შექმნის, ხელმძღვანელობისა და მასში გაწევრიანების ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პოლიცია გურამ ფალავანდიშვილთან, გამოკითხვაზე დაბარების მიზნით, უწყების ჩასაბარებლად მივიდა.

ფალავანდიშვილმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციამ ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავა, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს“, – აცხადებენ შსს-ში.

გურამ ფალავანდიშვილის სასამართლო პროცესი 5 ივლისამდე გადაიდო.

საქალაქო სასამართლოში სხდომაზე ფალავანდიშვილის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებაზე უნდა ემსჯელათ, თუმცა მისმა ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა ადმინისტრაციული საქმის განხილვის გადადების შესახებ, რათა გაეცნონ საქმის მასალებს და შეაგროვონ ახალი მტკიცებულებები მათი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაზე.

ფალავანდიშვილმა ჟურნალისტებთან მისი დაკავების შესახებ ისაუბრა.

– პროცესი გადაიდო, ჩემმა ადვოკატებმა მასალების გაცნობა მოითხოვეს, რადგან თქვეს, რომ ასე კაცის დაკავება უკანონობაა და ეს მომავალში არ განმეორდეს.

საერთოდ, დილას პოლიციაში დამიბარეს, შეკითხვა გვაქვს ამ კომბლეს შესახებ, რომ რაღაც ზღაპრები იყო, რომ კომბლებია ასისთავი, ცხვრებია ხალხი და მგელია პოლიცია. მე ვუთხარი, რომ არ მინდოდა მისვლა და ადვოკატს გამოვაგზავნიმეთქი. რადგანან არ მივედი და ამ დაკითხვების გამო ვერ დამაკავეს, ამიტომ ასე უაზროდ დამაკავეს, რომ არ ვყოფილიყავი აქციაზე.

ყოფილა შემთხვევები, დაკავების ღირსი ვყოფილვარ, მაგრამ ამჯერად მანქანა გადააყენეო, გადავაყენე, დაბრძანდიო, დავბრძანდი, არავითარი ზედმეტი სიტყვა არ ყოფილა, წამოვედი და ვიფიქრე, ძალიან კარგი, უწყებაა და მეტი არაფერიმეთქი. მერე ჩამიწერეს, რომ ვითომ პოლიციას შევაგინე თუ რაღაც. მაგაზე ხელი არ მოვაწერე.

ერთი პლუსი იმას აქვს, რომ ამდენი დაჭერით ცოტა შევთხელდი, უფრო კარგ ფორმაში ვარ და მინდა მოვუწოდო საზოგადოებას, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, რათა სიბინძურის პროპაგანდა არ დავუშვათ.

არ ვიცი, რას ვუკავშირებ ჩემს დაკავებას, შეიძლება, სახელმწიფოს აწყობს, რომ მუხტი აიწიოს და მეტი ხალხი გამოვიდეს, რომ ლგბტ „პრაიდი“ ადვილად ჩაიშალოს, არ მესმის, რადგან ჩემი განრიდება არაფერს ნიშნავს, პირიქით, ხალხი უფრო მობილიზდება და მეტი ჩამოვა.

იგივე, გუშინ სვანეთიდან ჩამოვიდნენ. ჩვენ ომს არ ვაპირებთ, უბრალოდ, გვსურს, ჩაიშალოს ეს პროპაგანდა, – განაცხადა ფალავანდიშვილმა.

როგორც მისმა ადვოკატმა, დავით ცინცქილაძემ აღნიშნა, ფალავანდიშვილის მიმართ განხორციელდა მიზანმიმართული პროვოკაცია.

– მოხდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უსაფუძვლო, უკანონო დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სახდელთან დაკავშირებით.

რეალურად, ეს დაკავება, საკარაუდოდ, ემსახურებოდა ფალავანდიშვილის, როგორც საერთო საბალხო მოძრაობაში აქტიური წევრის განეიტრალებას. ჩვენ მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა ადმინისტრაციული საქმის განხილვის გადადების შესახებ, ვინაიდან უნდა გავეცნოთ ადმინისტრაციული საქმის მასალებს, ასევე, შევაგროვოთ ახალი მტკიცებულებები გურამ ფალავანდიშვილის უდანაშაულობის დამტკიცების შესახებ.

ამიტომ, პროცესი 5 ივლისის 11:00 საათისთვის გადაიდო, – აღნიშნა ადვოკატმა.

მეგობარი ქალის 7 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის რ.ვ.-ს 22,5 წელი მიესაჯა

ოჯახში არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისა და გაუპატიურებისთვის ბრალდებულს სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 22 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქურდობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა პირმა, რომელიც მეგობარ ქალთან ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა, 2018 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით მის არასრულწლოვან შვილთან, სხვადასხვა დროს სამჯერ ჩაიდინა გარყვნილი ქმედება, ასევე ისარგებლა 7 წლის გოგონას უმწეო მდგომარეობით და გააუპატიურა იგი.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების და გაუპატიურების, ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის, მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვისა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ბრალდებული რ.ვ დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ქურდობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა რ.ვ.-მ, რომელიც მეგობარ ქალთან მ.მ-სთან ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა, 2018 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით მ.მ-ს არასრულწლოვან შვილთან, სხვადასხვა დროს სამჯერ ჩაიდინა გარყვნილი ქმედება, ასევე ისარგებლა 7 წლის გოგონას უმწეო მდგომარეობით და გააუპატიურა იგი.

სასამართლო პროცესზე ასევე დადგინდა, რომ გარდა აღნიშნული დანაშაულისა, რ.ვ.-მ ფიზიკური ძალადობა განახორციელა მ.მ-ს და მისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ.

სამართალდამცველებმა რ.ვ. 2018 წლის 21 ნოემბერს დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული იქნა უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და „გოლდ-სტარის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი ვაზნებით, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა.

რ.ვ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 -141-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი) (გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) 111 -137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ოჯახის წევრის მიმართ), 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ), 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით, (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) 2731-ე მუხლის მეოთხე ნაწილით (მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით) და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ რ.ვ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 22 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მეტრო „რუსთაველში“ ინციდენტის გამო ნიკოლოზ ჩალიგავა დააკავეს

მეტროსადგურ „რუსთაველში“ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1986 წელს დაბადებული ნიკოლოზ ჩალიგავა დააკავა.

აღნიშნული პირი მიმალვას ცდილობდა. უწყების ინფორმაციით, პოლიციამ ჩალიგავა ვაშლიჯვრის სასაფლაოსთან დააკავა.

19 ივნისს რუსთაველის მეტროში რამდენიმე მამაკაცი ორ ახალგაზრდას, სავარაუდოდ, საყურის გამო ფიზიკურად გაუსწორდა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, დაპირისპირების მიზეზი საყურე გახდა, რომელიც ერთ-ერთ ახალგაზრდას ეკეთა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, დაშავებულები ქუჩის მუსიკოსები არიან, რომლებიც მეტროთი გადაადგილდებოდნენ. მათივე ინფორმაციით, დაპირისპირების დროს ერთ-ერთი მამაკაცი ყვიროდა, რომ საყურე ქართველ კაცს არ უხდება და ახალგაზრდას მის მოხსნას სთხოვდა.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით და 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ ძალადობას და ხულიგნობას გულისხმობს.

„თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლებისადმი მუქარის გამო გამოძიება დაიწყო

„თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტებზე შს სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

სოციალურ ქსელში „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორთა ნაწილი ფოტომასალას ასაჯაროებს, სადაც ჩანს, რომ მათ მობილურებზე უცნობი პირები მუქარის შემცველ გზავნილებს აგზავნიან, სადაც საუბარია როგორც ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე, ისე მათი სიცოცხლის ხელყოფაზე.

ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს 20.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მადონა მაისურაძემ პროკურატურის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ექიმ-ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ არასაპატიმრო ფორმა, კერძოდ, 20 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

გირაოს გადახდის ბოლო ვადად მოსამართლემ 20 დღე განსაზღვრა. პროკურატურა თამარ ალადაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

როგორც პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ განაცხადა, არსებობს ბრალდებულის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების, ასევე მტკიცებულებების განადგურებისა და ქვეყნიდან მიმალვის საფრთხე.

დაცვის მხარე თამარ ალადაშვილის მიმართ 10 ათასი ლარის ოდენობის გირაოს შეფარდების ითხოვდა.

ექიმი-ფსიქიატრი თამარ ალადაშვილი რუსთავში ბიძის ვალერი ირემაძის მიერ 13 წლის ძმისშვილის გოგიტა ირემაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით 2 დღის წინ დააკავეს. მას ბრალი სსკ-ის 220-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით წაუყენეს.

თურქეთში 56 წლის ქართველი ქალი გარდაიცვალა

თურქეთში საქართველოს მოქალაქე, 56 წლის ქალი გარდაიცვალა.

გარდაცვალების მიზეზად ინფარქტი სახელდება.

საქართველოს მოქალაქე ქალაქ რიზეში სამუშაოდ იმყოფებოდა. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, იგი თბილისიდან თურქეთში, სეზონური დასაქმების მიზნით, ჩაის საკრეფად ჩავიდა.

სამი დღის განმავლობაში მას რიზეს ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდნენ.

ცხედარი ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს დახმარებით საქართველოში 19 ივნისს გადმოასვენეს.

მაია სანდუმ ახალი მინისტრთა კაბინეტი წარადგინა

მოლდოვის პრემიერმა მაია სანდუმ მინისტრთა ახალი კაბინეტი წარადგინა. პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ მოლდოვაში ახალი ხანა იწყება.

ოლიგარქიული მმართველობა წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე სახელმწიფოს ასაშენებლად კი კორუფციის დაძლევა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაა აუცილებელი.

– ჩვენი ყურადღებაც აქეთკენ იქნება მიმართული, – ამბობს სანდუ.

მოლდოვის პრემიერმა აღნიშნა, რომ დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელებისა და კორუფციის დაძლევისათვის საგარეო ფრონტზე მშვიდობაა აუცილებელი. ეს კი რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების გარეშე წარმოუდგენელია.

– რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, – ამბობს სანდუ.

მოლდოვის პრემიერი უკრაინის საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ დონბასში უკრაინელი ჯარისკაცების გმირობით აღფრთოვანებულია.

– უკრაინელებისა კეთილი შურით მშურს! მიუხედავად ომისა და სიდუხჭირისა, ისინი მაინც ეროვნული იდეალების ერთგულნი დარჩნენ! უკრაინასთან მეგობრული ურთიერთობები ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, – ამბობს სანდუ.

ტრამპი პუტინს შეხვდება

მომავალ კვირას იაპონიაში დიდი ოცეულის სამიტი გაიხსნება. მას აშშ-ის ლიდერი ტრამპი და მისი რუსი კოლეგა ვლადიმერ პუტინიც დაესწრებიან.

– სამიტზე პუტინთან შეხვედრა მაქვს დაგეგმილი, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების გაუარესება „კუდიანებზე ნადირობამ“ განაპირობა. ამას კი ბიძგი სპეცპროკურორ მიულერის გამოძიებამ მისცა.

– მე მსურს, კარგი ურთიერთობები გვქონდეს რუსეთთან, მინდა, კარგი ურთიერთობები გვქონდეს ჩინეთთან, – ამბობს ტრამპი.

გფბ-ს აგენტები დომინიკის რესპუბლიკაში ჩავიდნენ

გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) აგენტები დომინიკის რესპუბლიკაში ჩავიდნენ.

ამის მიზეზი გაურკვეველ ვითარებაში ამერიკელი ტურისტების გარდაცვალებაა. არსებობს ეჭვი, რომ ტურისტები მოწამლეს.

გფბ-ს აგენტებმა დომინიკის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად უნდა გაარკვიონ, რატომ დაიღუპნენ ამერიკელი ტურისტები და, თუ მათ მოწამვლასთან გვაქვს საქმე, რა ძალები დგანან ამ მკვლელობათა სერიის უკან.

ერდოღანი მურსის სიკვდილის გამოძიებას მოითხოვს

როგორც ცნობილია, ეგვიპტის ექსპრეზიდენტი მურსი სასამართლოს დარბაზში გარდაიცვალა. თურქეთის ლიდერი ერდოღანი მიიჩნევს, რომ მურსი მოკლეს.

– ვერ დავიჯერებ, რომ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი საკუთარი სიკვდილით აღესრულა! ის მოკლეს! – აცხადებს ერდოღანი.

თურქეთის ლიდერის აზრით, უნდა ჩატარდეს გამოძიება და მურსის სიკვდილის მიზეზი დადგინდეს.

– გამოძიება გაეროს ეგიდით უნდა ჩატარდეს! – თვლის ერდოღანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მაჩეტეთი შეიარაღებულმა ბიჭმა სამი მძარცველი მოიგერია

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში 11 წლის ბიჭმა მარტოდმარტომ მოახერხა, სამ მძარცველს გამკლავებოდა.

ბრეიდონ სმიტი სხვა შტატში მყოფ დედას ტელეფონზე ელაპარაკებოდა, როდესაც მის სახლთან მძარცველები მივიდნენ. მოზარდის დედამ, კეიტლინ ჯონსონმა, მათი ხმები გაიგონა. ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა.

როდესაც მძარცველები შენობაში შეიჭრნენ, ერთ-ერთმა მათგანმა ჯატავონ დეშონ ჰოლმა ხელი პნევმატურ თოფს სტაცა და ბავშვს უბრძანა, საძინებლის კარადაში შესულიყო და იქ მჯდარიყო.

მაგრამ სმიტმა კარადაში ჯდომა არ მოისურვა, საძინებლიდან გამოაღწია, ხელი დაავლო მაჩეტეს და სასტუმრო ოთახში შეიპარა, საიდანაც მძარცველები ტელევიზორის, ფლეისთეიშენისა და კიდევ სხვა ნივთების გატანას აპირებდნენ. ბიჭმა მაჩეტე ჰოლის ზურგს უკან აღმართა და მძარცველს ჩასცხო. მამაკაცს ნივთი, რომლის გატანასაც აპირებდა, მოულოდნელობისგან ხელიდან გაუვარდა.

ჰოლი შეტრიალდა, ბავშვს მუცელში დაარტყა და დივანისკენ მოისროლა. ბიჭმა წამოდგომა მოახერხა და მაჩეტე ისევ მოუქნია დამნაშავეს, მაგრამ ააცილა. მძარცველმა სმიტს თავში ჩასცხო და შეტრიალდა დავარდნილი ტელევიზორის ასაღებად, თუმცა ამ დროს მიხვდა, რომ თავში მიყენებული ჭრილობა სერიოზული იყო და თანამზრახველებთან ერთად გაიქცა.

მთელი ამ დროის განმავლობაში ჯონსონს ტელეფონში ესმოდა, თუ რა ხდებოდა ბინაში. მან ჩრდილოეთ კაროლინაში ნათესავს დაურეკა და მან პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს სმიტი ადგილზე დახვდათ. მათ დაუყოვნებლივ გაავრცელეს ინფორმაცია თავში დაჭრილი მამაკაცის თაობაზე და მასზე ძებნა გამოაცხადეს.

– ის ძალიან მაგარი ბიჭია და თანაც საკმაოდ საზრიანია ექსტრემალურ სიტუაციაში, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბიჭსა და მის ოჯახს ძალიან გაუმართლა, რომ ეს ყველაფერი ტრაგიკულად არ დასრულდა, – აღნიშნა შერიფმა ჩარლზ ბლეკვუდმა.

დაჭრილმა ჰოლმა საავადმყოფოს მიმართა, რის შესახებაც მედიკოსებმა პოლიციას აცნობეს. 15 ივნისს, დილით, მან საავადმყოფოდან გაქცევა მოახერხა, თუმცა 17 ივნისის ღამეს ის მაინც დააპატიმრეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რვაფეხამ მყვინთავს თავისი საცეცები შემოხვია

იაპონიის ზღვაში რვაფეხა თავს დაესხა მყვინთავს. შემთხვევის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ხვევს თავის საცეცებს მყვინთავს მოზრდილი რვაფეხა. მამაკაცი ცხოველის თავიდან მოშორებას ცდილობს, მაგრამ ის თავის მცდელობას აგრძელებს და ფეხზე ეჭიდება.

საბოლოოდ მყვინთავმა მაინც მოახერხა რვაფეხასგან თავის განთავისუფლება, რომელიც ამის შემდეგ ფსკერზე ქვებს შორის მიიმალა.



სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს თასი სენსაციური შედეგებით

გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის შეხვედრები, სადაც გვარიანი სენსაციები დაფიქსირდა.

მერანი (თ)-დინამო 1:0 (დდ)

თბილისი. სპაერი
1:0 ფიფია (114პ)

მერანი: თევდორაძე, კახელიშვილი, თევზაძე, ფოფხაძე, ჩუკვურა, გაბისკირია (შენგელიძე 110), დათუნაიშვილი, შარიქაძე, ხაბელაშვილი (ფიფია 71), დეისაძე (ქარქუზაშვილი 117), ნიქაბაძე (მიქაბერიძე 86)

დინამო: პერალესი, რუხაია (კაპლიენკო 104), მეჯუბი, მონხილი, იაშვილი, პაპავა, ქარდავა (შულაია 112), ზარია (ნინუა 77), შენგელია, კუხიანიძე (აბუაშვილი 94), კუტალია

მერვედფინალური ეტაპის მთავარი სენსაცია „სპაერის" სტადიონზე დაფიქსირდა. თბილისის მერანმა თანაქალაქელ დინამოს უმასპინძლა და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დაძაბულ ბრძოლაში გამოთიშა ასპარეზობას.

მატჩის ძირითადი დრო გატანილი გოლების გარეშე – 0:0 დასრულდა. მეორე დამატებითი ტაიმის მიწურულს კი, 114-ე წუთზე, გოგი ფიფიამ საკუთარი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა და მატჩის გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

სამტრედია-საბურთალო 1:2

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე
0:1 შინდაგორიძე (27), 0:2 როლოვიჩი (81), 1:2 გოგუა (90პ)

მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა საქართველოს ჩემპიონმა, თბილისის საბურთალომ. გია ჭიაბრიშვილის გუნდი სტუმრად სამტრედიას დაუპირისპირდა და 2:1 დაამარცხა.

საბურთალოელთა მხრიდან გოლები ლაშა შინდაგორიძემ და ოგნიენ როლოვიჩმა გაიტანეს. დედაქალაქელთა გოლებშორის ვლადიმერ დვალიშვილმა პენალტიც გაცუდებაც მოასწრო. სამტრედიამ ბოლო წუთზე შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა – 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად გოგიტა გოგუამ შეასრულა.

გაგრა-ტორპედო 2:3

მუხიანი. სპორტკომპლექსი
0:1 კაპანაძე (41), 0:2 დოლიძე (60), 1:2 მეტრეველი (63), 1:3 ქავთარაძე (83), 2:3 ბრეგვაძე (90პ)

მუხიანის სპორტკომპლექსის სტადიონზე ერთმანეთს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გასული სეზონის ფინალისტები გაგრა და ქუთაისის ტორპედო შეხვდნენ.

უხვგოლიანი შეხვედრა თასის შარშანდელი მფლობელის, ქუთაისური კლუბის გამარჯვებით დასრულდა.

კახა ჩხეტიანის გუნდმა მეტოქე 3:2 დაამარცხა.

თორნიკე კაპანაძის, გრიგოლ დოლიძისა და ნოდარ ქავთარაძის გოლებს გაგრის შემადგენლობიდან ზვიად მეტრეველმა და თენგიზ ბრეგვაძემ უპასუხეს.

თელავი-ლოკომოტივი 0:1

თელავი. გივი ჩოხელი
0:1 სიხარულიძე (42)

მინიმალური ანგარიშით მოიგო თბილისის ლოკომოტივმა. დედაქალაქელები სტუმრად თელავს დაუპირისპირდნენ და 42-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძის გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხეს მეტოქე.

რუსთავი-სიონი 2:0

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი
1:0 სილაგაძე (23), 2:0 ჩოგაძე (70)

ქვემოქართლური დერბი რუსთავში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა ბოლნისის სიონს უმასპინძლა და პრინციპული მეტოქე ანგარიშით – 2:0 დაამარცხა.

ანგარიში 23-ე წუთზე რუსთაველთა კაპიტანმა ლუკა სილაგაძემ გახსნა, საბოლოო შედეგი კი 70-ე წუთზე თემურ ჩოგაძემ დააფიქსირა.

მერანი (მ)-გურია 3:0

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა
1:0 გოგუაძე (45პ), 2:0 ლაღაძე (75), მიქავა (83)

დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლიგა 3-ში მოასპარეზე მარტვილის მერანმა. გია გიგატაძის გუნდმა საკუთარ მოედანზე ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენელ, ლანჩხუთის გურიას უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. გურულებს თითო გოლი ზაურ გოგუაძემ, ბაქარ ლაღაძემ და დიმიტრი მიქავამ გაუტანეს.

გარეჯი-სპაერი 3:3 (4:2პ)

საგარეჯო. არსენ მეკოკიშვილი
0:1 შუშიაშვილი (2), 1:1 ჩიმაკაძე (22), 1:2 ჩიგოევი (37), 2:2 ხუციანიძე (43), 3:2 ყურულაშვილი (78სკ), 3:3 ქართველიშვილი (86პ)

უხვგოლიანი და დრამატული გამოდგა ლიგა 4-ის გუნდების, საგარეჯოს გარეჯისა და თბილისის სპაერის დაპირისპირება. არსენ მეკოკიშვილის სახელობის სტადიონზე გამართული შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 3:3 დასრულდა, ხოლო პენალტების სერია უკეთ მასპინძლებმა შეასრულეს და მეტოქე ანგარიშით – 4:2 დაამარცხეს.

თბილისი სითი-ზუგდიდი 3:1

თბილისი. შატილი
0:1 ნვანკვო (8), 1:1 ხოჯანაშვილი (62პ), 2:1 შუბითიძე (73), 3:1 მახაჭაშვილი (83)

მეოთხედფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ლიგა 3-ის კიდევ ერთმა კლუბმა მოიპოვა. თბილისი სითიმ ზუგდიდს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში, 3:1 გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ მე-8 წუთზე, მარტინს ნვანკვოს გატანილი გოლის წყალობით ზუგდიდელები აღნიშნულ შეხვედრას იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლებმა შექმნილი მომენტები გამოიყენეს და მეტოქეს 3 უპასუხო ბურთი გაუტანეს. გამარჯვებულთა რიგებში გოლები ბექა ხოჯანაშვილმა, გიორგი შუბითიძემ და ლუკა მახაჭაშვილმა გაიტანეს.

შედეგებიდან გამომდინარე დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება გარეჯმა, საბურთალომ, მარტვილის მერანმა, თბილისი სითიმ, ლოკომოტივმა, ტორპედომ, თბილისის მერანმა და რუსთავმა მოიპოვეს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

19 ივნისი
ფეხბურთი

კოპა ამერიკა

კოლუმბია-ყატარი	1:0
არგენტინა-პარაგვაი	1:1

კონკაკაფი

კუბა-მარტინიკა	0:3
მექსიკა-კანადა	3:1

ევროპის ჩემპიონატი (21)

ესპანეთი-ბელგია	2:1
იტალია-პოლონეთი	0:1

ამხანაგური მატჩი

კოტ დივუარი-ზამბია	4:1

მსოფლიო ჩემპიონატი
ქალები

შოტლანდია-არგენტინა	3:3
იაპონია-ინგლისი	0:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიკი-ჰონკა	0:1

ამერიკელებმა ბითაძეს უნებლიე რეკლამა გაუკეთეს

დღეს დილით გაირკვეოდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დრაფტის შედეგები, რომელშიც ქართველი ცენტრი გოგა ბითაძეც მონაწილეობს.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა ჩვენებურს მაგარი რეკლამა გაუკეთეს. იქაურმა მედიის წარმომადგენლებმა ბითაძეს ჯერ იგნორირება გაუკეთეს და ყურადღების მიღმა დატოვეს, რამაც იქონია კიდეც გავლენა ბითაძის ცნობადობაზე.

საქმე ის არის, საქართველოს ნაკრების 19 წლის ცენტრი პრესკონფერენციასაც დაესწრო. თუმცა, დარბაზში დრაფტის პირველი ნომერი, ამერიკელი ზაიონ უილიამსონი შევიდა, რომელიც მოახლოებული დრაფტის მთავარი ფიგურაა. ჰოდა, ამერიკელ ჟურნალისტებს გოგასათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, ყველა მათგანი უილიამსონისკენ გაემართა, გოგა კი მარტო დატოვეს მაგიდასთან.

ამ მომენტს თქვენ ფოტოზე იხილავთ, რადგან შემდგომში ჯერ ამერიკული მედია, ხოლო ბოლოს მთლიანად ინტერნეტსივრცე დაიპყრო. ფოტოს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა, საიდანაც მთავარი მომენტები გოლდენ სტეიტის ვარსკვლავის, დეიმონდ გრინისა და ყოფილი კალათბურთელის, დუეინ უედის კომენტარები იყო.

დრეიმონდ გრინი, გოლდენ სტეიტი:

– ბითაძემ ეს ფოტო ჩარჩოში უნდა ჩასვას... ყოველდღიურად უნდა უყუროს, გაბრაზდეს და ყველა დაანგრიოს!

დუეინ უეიდი:

– გამოიყენე ეს ფოტო მოტივირებისთვის, ეს უნდა იყოს შენი საწვავი...

ბამ ადებაიო, მაიამი ჰიტი:

– ეს არის მოტივაცია!

სლამონლაინი, ინტერნეტ გვერდი:

– შეიძლება, არ იცით, მაგრამ... ბითაძე ითამაშებს. მოითმინეთ!

მანუჩარ მარკოიშვილი:

– მათ არ იციან, რეალურად ვინ არის გოგა!!!

თორნიკე შენგელია:

– ყველამ დაიმახსოვრეთ!!!! მე ვიცი, მას შეუძლია!

ზაზა ფაჩულია:

– არ აქვს მნიშვნელობა, როგორ დაიწყებ, მთავარია, როგორ დაასრულებ. დაუმტკიცე მათ, რომ ცდებიან, ჩემო ძმაო!

ამ ფაქტზე კომენტარს თავად გოგაც აკეთებს, რომელსაც მალე ჟურნალისტებმა მოსვენება არ მისცეს.

გოგა ბითაძე:

– ზაიონი შესანიშნავი კალათბურთელია, შესაძლოა, ტოპ კლასისაც კი. მაგრამ მე ეს არ მაწუხებს, ჟურნალისტები ჩემთანაც მოვიდნენ და გარკვეული შეკითხვები დამისვეს. თუმცა, ზაიონის შემოსვლის შემდეგ საინტერესო სიტუაცია იყო, რამაც კიდევ უფრო მომაშია. უფრო კონცენტრირებული და მოტივირებული ვარ. ვიცი, რომ უილიამსონი ძალიან კარგი კალათბურთელია, პირველია დრაფტზე, მაგრამ ეს მე არ მაღელვებს.

შეგახსენებთ, რომ დრაფტი დღეს დილით დასრულდებოდა, გოგა კი მე-15 ნომრად ითვლება. გაზეთის ნომრის გამოსვლის შემდეგ გვეცოდინება თუ ვინ აიყვანა ჩვენებური და რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას ნბა-ში.

პაატა გურასპაული: „ფედერაცია და სახელმწიფო ევრობასკეტის მასპინძლობისთვის მზად ვართ"

ბოლო თვეებში ქართულ კალათბურთში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა: მარტში ჩვენმა ქვეყანამ ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძლობაზე ოფიციალური განაცხადი გააკეთა, ხოლო მაისში ფიბა-ევროპის აღმასრულებელ საბჭოში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური

მდივანი გიორგი ქართველიშვილი აირჩიეს.

ბოლოს კი გიორგი ქართველიშვილი ფიბა-ევროპის იურიდიული კომისიის პრეზიდენტიც გახდა, ხოლო ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი და კიდევ 2 წევრი ფიბა-ევროპის სხვადასხვა კომისიების წევრებად აირჩიეს. საერთაშორისო საკალათბურთო ასპარეზზე ქართველების ასეთი სიმრავლე და აქტივობა უპრეცედენტოა.

ამ მნიშვნელოვან ფაქტზე, აგრეთვე ევრობასკეტის მასპინძლობის შანსებზე საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული საუბრობს.

პაატა გურასპაული:

– 17 ივნისს პირველად შეიკრიბა ფიბა-ევროპის ახლადარჩეული აღმასრულებელი საბჭო, რომლის ძირითადი მიზანი სამუშაო კომისიების დაკომპლექტება გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ეს ის აღმასრულებელი საბჭოა, რომლის წევრადაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, გიორგი ქართველიშვილი აირჩიეს. აღმასრულებელი საბჭოს პირველივე სამუშაო სხდომაზე ბატონი გიორგი ფიბა-ევროპის ერთ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ყატარის მასპინძლობა ეჭვქვეშ დგას

რამდენიმე დღის წინ უეფას ყოფილი პრეზიდენტი, ფრანგი მიშელ პლატინი დააკავეს. მართალია, ლეგენდა-

რული ფრანგი დაკითხვის მერე გამოუშვეს, მაგრამ ეჭვები მაინც რჩება, რომ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ყატარს სუფთად, კორუფციული სქემების გარეშე არ მოუპოვებია.

პლატინის დაკავების შემდეგ ევროპული მედია ბევრ ინფორმაციას ავრცელებს. სხვადასხვა ხასიათის, მაგრამ თითქმის ერთი და იგივე შინაარსის. არაერთმა ცნობილმა გამოცემამ დაწერა, რომ ფიფა 2022 წლის მუნდიალის ყატარში ჩატარებას არ აპირებს და ალტერნატიულ ქვეყნებს განიხილავს.

როგორც ამბობენ, ფიფას ხელმძღვანელობა საიდუმლო შეხვედრებს მართავს სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან და ფედერაციის პრეზიდენტებთან, რათა სასწრაფოდ შეიცვალოს მასპინძელი.

შეგახსენებთ, 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა, ყატარის გარდა აშშ-ს, იაპონიას, კორეასა და ავსტრალიას სურდათ. ბოლოს კანდიდატებად მხოლოდ

მილანს ჯამპაოლო გაწვრთნის

მილანს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ინფორმაცია, რომელიც ბოლო 2 თვის განმავლობაში აქტიურად ვრცელდებოდა, კლუბმა დაადასტურა – შავ-წითლებს მარკო ჯამპაოლო გაწვრთნის.

კონტრაქტი მოქმედებაში პირველი ივლისიდან შევა და 2021 წლამდე იმოქმედებს, თუმცა მასში ერთწლიანი გახანგრძლივების პუნქტიცაა გათვალისწინებული.

ჯამპაოლომ სამწვრთნელო კარიერა პესკარაში ასისტენტად დაიწყო, მერე კი სერია ა-სა და სერია ბ-ში რამდენიმე გუნდს წვრთნიდა. ყველაზე წარმატებული პერიოდი ჯამპაოლოს სამპდორიასთან ერთად ჰქონდა, სადაც 3 წელი იმუშავა და გუნდი წინა სეზონში, სერია ა-ში მე-9 ადგილზე გაიყვანა. მის ხელში 36 წლის ფაბიო კვალიარელამ კარიერის საუკეთესო სეზონი ჩაატარა და სერია ა-ს ბომბარდირობასაც შესწვდა – 26 გოლით.

კარიერის განმავლობაში 51 წლის თავკაცს იტალიაში 324 მატჩი ჩაუტარებია, საიდანაც 270 სერია ა-ს ეგიდით გაიმართა.

როგორც ხედავთ, მილანის ახალი თავკაცი სამწვრთნელო კარიერით დიდად ვერ დაიკვეხნის. არადა, არც განიხილებოდა როსონერის ხელმძღვანელთა მიერ. თუმცა, ფაქტი სახეზეა...

ქმარმა ფულის გამო ფეხმძიმე ცოლი კლდიდან გადააგდო

ტაილანდში ფეხმძიმე ქალი 34 მეტრი სიმაღლის კლდიდან გადმოვარდნის შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

ინციდენტი გასულ კვირას მოხდა. 32 წლის ჩინელი ვან ნანი თავის მეუღლე იუია სიაოდუნთან ერთად სამოგზაუროდ იმყოფებოდა, როდესაც პხა-ტაემის ეროვნულ პარკში კლდიდან გადმოვარდა. ბილიკზე დაგდებული ქალი ტურისტმა ქალმა აღმოაჩინა და სასწრაფო გამოიძახა. ნანმა ექიმებს უთხრა, რომ კლდიდან შემთხვევით გადავარდა. დაშავებულს თეძოს, ხელების, ლავიწისა და მუხლების რამდენიმე მოტეხილობა აქვს. მისი ნაყოფი არ დაშავებულა.



პოლიციელებს მომხდარის შემთხვევითობაში ეჭვი შეეპარათ და მათი ყურადღება სიაოდუნის უცნაურმა ქცევამ მიიპყრო. საავადმყოფოში, როდესაც ქმარი მის გვერდით არ იმყოფებოდა, ქალმა განაცხადა, რომ ის კლდიდან მეუღლემ გადააგდო, როდესაც მან ვალების გასტუმრებაზე უარი უთხრა მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობა მიიღო. ნანმა ასევე დაამატა, რომ მამაკაცი მოკვლით დაემუქრა, თუ მომხდარის შესახებ ვინმეს უამბობდა.

პოლიციამ 33 წლის იუია სიაოდუნი 17 ივნისს იმ დროს დააკავა, როდესაც საავადმყოფოში მეუღლის მოსანახულებლად მივიდა. გაირკვა, რომ წყვილი საკუთარ ბიზნესს ფლობდა, თუმცა მთელი აქტივები ნანის საკუთრებაში იყო. მის მეუღლეს ვალები დაედო და, როდესაც მან ცოლს მათ გადახდაში დახმარება სთხოვა, ის მხოლოდ თანხის ნახევრის მიცემას დათანხმდა. ამან კი მამაკაცი გააბრაზა. მამაკაცს მკვლელობის მცდელობის ბრალდება აქვს წაყენებული. თავად სიაოდუნი დანაშაულს არ აღიარებს.

ქალმა 100 ათასი დოლარი ცრურწმენით შეპყრობილი დაქალის წყალობით მოიგო

დაქალის რჩევამ ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზას სიტის მცხოვრებ ლატარიის თამაშის მოყვარულ ქალბატონს მსხვილი მოგება მოუტანა. კეიტლინ პოპლინი ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივ მომენტალური ლატარიის იმ ბილეთებს ყიდულობს, რომლებიც ერთი ან ორი დოლარი ღირს. ამჯერად კი მან სამდოლარიანი ბილეთი შეიძინა, ვინაიდან მისმა დაქალმა მასზე თავისი საყვარელი რიცხვი შენიშნა.

მანქანაში დაბრუნების შემდეგ ქალმა დამცავი შრე გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ 100 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული.

– დაქალს ვუთხარი, რომ მასაც ენახა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არ შევშლილვარ და ყველაფერი სწორად გავაკეთე, – განაცხადა იღბლიანმა ქალბატონმა, – მან კი მითხრა: აჰა, მოგებული ხარ!“.

პოპლინის თქმით, ეს მოგება მისთვის დროული იყო. ლატარიის ბილეთის შეძენამდე ერთი კვირით ადრე ის ავარიაში მოყვა და მანქანა დაამტვრია, ეს მოგება კი ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

კეიტ მიდლტონის კორტეჟი 83 წლის ქვრივს დაეჯახა

დიდ ბრიტანეთში პრინც უილიამისა და მისი მეუღლის კეიტ მიდლტონის კორტეჟში შემავალი ერთ-ერთი მოტოციკლისტი პოლიციელი 83 წლის ქალბატონს დაეჯახა.

17 ივნისს კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია ლონდონიდან უინძორში ორდენის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე მიემგზავრებოდნენ. პოლიციელები სამეფო ოჯახის წევრებს ქუჩაში გზას უთავისუფლებდნენ, რა დროსაც შემხვედრ ზოლზე მყოფი ერთ-ერთი მოტოციკლისტი 83 წლის ირენ მაიორს დაეჯახა.

დაშავებული დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმი მის მდგომარეობას მძიმეს, თუმცა სტაბილურს უწოდებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ღრმად წუხან მომხდარის გამო. მათმა მოსამსახურემ მაიორი საავადმყოფოში მოინახულა და ყვავილები მიართვა.

– მისი სამეფო უდიდებულესობა საუკეთესო სურვილებს უგზავნის ირენს და მის ოჯახს და მუდმივად მათთან კავშირზე იქნებიან მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში, – განაცხადა სამეფო წყვილის წარმომადგენელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიანგი ქალს ბავშვის თვალწინ დაესხა თავს

ზიმბაბვეში ქალმა მოახერხა ნიანგის მოგერიება, რომელიც მას ბავშვის თვალწინ დაესხა თავს.

რეპტილიის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 47 წლის ემერი პონდანი თევზს იჭერდა.

– ბადე გადავაგდე და წყლის ტალღა შევნიშნე, – იხსენებს ქალი, – ჩემს შვილს ეგონა,



რომ რაღაც დიდი არსება დავიჭირე, მაგრამ მოულოდნელად რეპტილიამ კბილები მკერდში ჩამავლო და წყალში ჩამითრია.

ქალს გაახსენდა, რომ ნიანგის თავდასხმის დროს საჭიროა, მას ხახა დაუხშო და მან რეპტილიას ხელი ყელში ჩასთხარა. ის მტაცებელს შეებრძოლა და საბოლოოდ მისგან თავის გათავისუფლება და ნაპირზე ამოსვლა მოახერხა. ამჟამად პონდანი საავადმყოფოში მკურნალობს.

ის შიშობს, რომ თევზაობაზე უარის თქმა მოუწევს.

– არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა ისევ თევზაობას, – ამბობს ქალი, – არადა, ძალიან მინდა, ვინაიდან ამას ზოგჯერ კარგი შემოსავალი მოჰქონდა. თუმცა გამიგონია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ნიანგის თავდასხმაგადატანილი ადამიანი წყლისგან თავს შორს დაიჭერს.

მისი თქმით, ადრე მან სამჯერ მოახერხა ნიანგების თავდასხმის თავიდან აცილება.

პაატა გურასპაული: „ფედერაცია და სახელმწიფო ევრობასკეტის მასპინძლობისთვის მზად ვართ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ერთი მნიშვნელოვანი, იურიდიული კომისიის პრეზიდენტი გახდა.

– ქართველებისთვის ფიბა ევროპის კომისიის პრეზიდენტობა აქამდე უპრეცედენტო ფაქტია, თუმცა, წინა წლებში ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ ფიბა ევროპის სხვადასხვა კომისიის წევრები.

– მართალია... წინა, 2014-19 წლების მანდატისგან განსხვავებით, გიორგი ქართველიშვილი იურიდიული კომისიის წევრობიდან ამავე კომისიის პრეზიდენტი გახდა. ეროვნული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამად ფედერაციის გამეორების თავმჯდომარე მიხეილ გაბრიჩიძე, წინა მანდატის მსგავსად, კვლავინდებურად გააგრძელებს მუშაობას ფიბა ევროპის ახალგაზრდულ კომისიაში. თუმცა, ამით საქართველოს წარმომადგენელთა ინტეგრაცია ფიბა ევროპის სტრუქტურებში არ დასრულებულა: ტექნიკური კომისიის წევრი გახდა ფედერაციის ფიბასა და საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორი, ფიბას კომისარი მერაბ რატიშვილი, ხოლო საშეჯიბრებო კომისიის წევრი – თქვენი მონა-მორჩილი პაატა გურასპაული.

– კომისიები მუშაობას როდის დაიწყებენ?

– როგორც აღვნიშნე, აღმასრულებელი საბჭოს შეკრების მიზანი კომისიების დაკომპლექტება გახლდათ. ახლა კი განისაზღვრება მიმართულებები და ჩაინიშნება კომისიის შეკრების თარიღები. კომისიები პერიოდულად, წელიწადში რამდენჯერმე შეიკრიბება და ქართველებიც აქტიურად ვიქნებით მათ მუშაობაში ჩართულნი.

– საერთაშორისო საკალათბურთო სტრუქტურებში ქართველების გააქტიურება ღიად მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს პრესტიჟი გაიზარდა. რამდენად ზრდის ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნის შანსს, უმასპინძლოს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფს.

– ის ფაქტი, რომ დღეს უკვე 4 ქართველია ფიბა-ევროპის სტრუქტურებში და ერთ-ერთი მათგანი აღმასრულებელი საბჭოს წევრი და, ამავდროულად, კომისიის პრეზიდენტია, ნათლად მიუთითებს საქართველოს როლის გაზრდას საკალათბურთო სამყაროში. ეს არის ძალიან დიდი აღიარება და დაფასება იმ მუშაობის, რაც ჩვენმა ფედერაციამ გასწია გასულ წლებში. შანსი, რომ ვუმასპინძლოთ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფს, რა თქმა უნდა, არსებობს და ის ახლა უფრო გაიზარდა.

– როდის გადაწყდება მასპინძლობის საკითხი და რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ საკითხში?

– საორგანიზაციო საკითხში უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი როლი სათამაშო არენას უკავია, რომლის აშენების გარანტიაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფიბა-ს წარმომადგენლებთან უკვე გასცა. შერჩეულია ადგილი, სადაც 15.000-იანი, ულტრათანამედროვე არენა აშენდება. არა მხოლოდ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის, არამედ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებს აქვთ გამოთქმული სრული მზადყოფნა იმის თაობაზე, რასაც ევრობასკეტის მასპინძლობა ჰქვია. მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურა, რომლის მონაწილეობაც აუცილებელია ევრობასკეტის მასპინძლობაში. 14 ივლისს, ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება, სადაც ევრობასკეტის მასპინძლობის საკითხზე იმსჯელებენ და 15 ივლისს საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. ვერდიქტის გამოტანამდე ძალიან მნიშვნელოვანი პროცედურა გაიმართება: მასპინძლობის სურვილის მქონე ყველა ქვეყანა ეცდება, დაარწმუნოს ევროკალათბურთის ხელმძღვანელები, რომ ისინი ამას იმსახურებენ. ამისთვის გამოიყენებენ ყველა იმ ბერკეტს, რომელიც არსებობს – იქნება ეს სარეკლამო რგოლების წარდგენა, სახელმწიფოს უმაღლესი პირების პრეზენტაციაში მონაწილეობა და მათ მიერ აღნიშნული ღონისძიების მასპინძლობისა და მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის მკაფიო მზაობის გამოხატვა. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ფიბა ევროპის აღმასრულებელი საბჭო. სწორედ მისი წევრი 25 პიროვნება, ფარული კენჭისყრით, შეარჩევს ევრობასკეტ 2021-ის 4 მასპინძელ ქვეყანას.

ასტროპროგნოზი

21 ივნისისთვის

ვერძი – დღეს გამორიცხული არ არის მცირეოდენი ოჯახური უსიამოვნებები, გართულებები პირად ცხოვრებაში. საყვარელ ადამიანთან კამათი თქვენ სასარგებლოდ არ დამთავრდება. ** კურო** – ერიდეთ პროვოკაციებს დღის პირველ ნახევარში. მამაკაცებისთვის კომპრომისზე წასვლა რეკომენდებული არ არის. კატეგორიულობა მიუღებელია. **ტყუპები** – ჯანმრთელობისთვის არაკეთილისმყოფელი დღეა. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობა გეძაბებათ. **კირჩხიბი** – ეს დღე შესაძლოა წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს. შინაგანი განგაშის შეგრძნება და ნევროზულობა მთელ დღეს თან გდევთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და იფიქროთ. **ლომი** – გეგმების განხორციელებაში ხელს არაფერი გიშლით. ფინანსურად გაძლიერდებით. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. **ქალწული** – არ ღირს შორს გამგზავრება, მივლინებები, კონტაქტი უცნობ ადამიანებთან. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. **ღრიანკალი** – კარგ გუნებაზე ხართ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. დაგეგმეთ მომავალი დასვენება. **მშვილდოსანი** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. წარმატებული დღე გაქვთ. ყველა საქმეს იოლად აგვარებთ. **თხის რქა** – იაქტიურეთ. წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. კარიერაში სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. **მერწყული** – ოცნება გისრულდებათ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თავს დასვენებისა და განტვირთვის უფლება მიეცით. **თევზები** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად ლოიალური და უპრინციპო.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 6. ბრიტანეთის ნაწილი; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 18. თირკმლების ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. მედიცინაში, ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებული ნახშირმჟავის მარილი; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 26. ემილ ზოლას რომანი.

თარაზულად: 7. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმეისტერი, სტალინური პრემიის სამგზის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. ქება-დიდება; 17. ხმის, მუსიკის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე; 19. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 22. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 27. პირი, რომელიც განაგებს დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ირისი; 2. გაუჩო; 3. პერგოლა; 4. ჩოხა; 5. ლიმა; 6. ანსმია; 9. ვარდსანიძე; 10. არბიტრაჟი; 11. გერიატრია; 14. ნივეა; 16. ჰეიგი; 18. დიუპონი; 20. ეფემერა; 23. ხევი; 24. ვარნა; 25. ფშავი; 26. როდა.

თარაზულად: 7. ფენოლოგია; 8. ხუზისტანი; 12. ტავრო; 13. გეიმი; 15. სიდრი; 17. ველასკესი; 19. ტუნგი; 21. ბურჟე; 22. დიჯეი; 27. ანტიკვარი; 28. ბაღდადური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შუამთა; 2. აგუერო; 3. ბონდერი; 4. აირზენა; 5. კალიბრი; 7. ბახტაძე; 11. ჯანღი; 12 გიურზა; 13. რემარკი; 14. იპოთეკა; 15. ჩითილი; 17. პოლისი; 19. მწდე.

თარაზულად: 5. კონუნგი; 6. ფოლორცი; 8. რახი; 9. პერიე; 10. ბორანო; 11. ჯიღა; 13. რეფერატი; 14. იანძი; 16. სპერი; 18. ოჩანი; 20. კარდენი; 21. ლექსიკა.

მიხეილ მდინარაძე: „მძულს ყველაფერი რუსული!“

კომპოზიტორი მიხეილ მდინარაძე აცხადებს, რომ მისთვის ყველაფერი რუსული საძულველია:

– მძულს ყველაფერი რუსული და არ დამიწყოთ ახლა რუსული კულტურის შესახებ ლაილაი! ეგაა მაგათი კულტურა და მაგათი სახე. რელიგიურადაც აღარ მინდა, მაგათთან რაიმე მქონდეს საერთო, რომ ვეღარასოდეს ვეღარ შეძლონ აი მაგ დამპალი კულტურის და საერთო რელიგიის გამოყენება ჩვენ წინააღმდეგ! ჩემმა შვილმა ბაღში ორი ღერი რუსული ისწავლა და ახლა ყველაფერს ვიზამ, რაც შეიძლება მალე დაავიწყდეს ყველაფერი, რაც რუსეთს უკავშირდება. თუ ვერ წაიკითხავს ტოლსტოისა და დოსტოევსკის, არ დაიღუპება! ჩემი საყვარელი სტრავინსკი დროზე მიხვდა და გაიქცა მაგ ჭაობიდან და ჩაიკოვსკი ისედაც ნერვებს მიშლიდა ყოველთვის.

გიორგი სუხიტაშვილი გააბრაზეს

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი გააბრაზეს. მან აღშფოთება ვერ დამალა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რუსი გავრილოვი საქართველოს პარლამენტში მთავარ სავარძელში ჩასვეს:

– მოგი..ნთ გავრილოვის ჩამოყვანის გადაწყვეტილება და მიზანი!

გაა..ევინეთ ქვეყნიდან და ვინც ეგ ჩამოათრიეთ, თან გაჰყევით, თქვე მოღალატეებო. რა არ იცოდით, ხო არ ან.ევთ, ვის აბოლებთ ან რატო გგონიათ, რომ ვინმე დაბოლდება?! ეს არის, ყველაფერზე მაღლა გავარტყი ყველას, ვინც ამ პოსტს პოლიტიკურად მონათლავს. ე.ი. არ გიყვართ სამშობლო და თქვენც მიჰყევით იმ ნაბიჭვარს!

სალომე კორკოტაშვილი ესპანეთის ყველაზე მასშტაბურ ფესტივალზე იმღერებს

მომღერალი სალომე კორკოტაშვილი ესპანეთის ყველაზე მასშტაბურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

სალომემ და მისმა ჯგუფმა „სალიომ“ შეძლო და 2000 ჯგუფიდან საუკეთესოთა შორის მოხვდა. ესპანეთის მად ქულ ფესტივალი ყველაზე ნიჭიერ ხელოვანებს აერთიანებს.

სალომე კორკოტაშვილი ესპანეთში ათასობით მსმენელის წინაშე 11, 12 და 13 ივლისს წარდგება.

გიორგი გასვიანი თეატრების კანონს აპროტესტებს

მსახიობი გიორგი გასვიანი თეატრების შესახებ კანონს აპროტესტებს და პარლამენტში მყოფ რეჟისორ ნუკრი ქანთარიასა და მსახიობ ზაზა პაპუაშვილს განმარტებას სთხოვს:

– ბატონო ალექსანდრე ქანთარია, ბატონო ზაზა პაპუაშვილო, ეს რა შეუსაბამო კანონია თეატრისთვის! საჯარო სამსახურებისთვის კანონი მოარგეს შემოქმედებით სფეროებს.

თეატრებში მსახიობებს ისედაც მიზერული ხელფასები გვაქვს! თუკი შენ წახვედი სხვა ქვეყანაში რამდენიმე დღით სხვა სპექტაკლით ან ფესტივალზე, ან დასასვენებლად, ან კონფერენციაზე, ხელფასიდან თვის ბოლოს გეჭრება უცხოეთში ყოფნის დღეების შესაბამისი თანხა! მსახიობს თუ აქვს ხელფასი 400 ლარი ერთ თეატრში და აგრეთვე მეორე თეატრშიც თამაშობს ან დამოუკიდებელ პროექტშია, ან კინოფესტივალზე მოხვდა, ამის გამო მას სახელმწიფო თვის ბოლოს ჩამოაჭრის თანხას თეატრის შტატის ხელფასიდან. შეიძლება აიღოს 120 ლარით ნაკლები ან 200-ით!

მე ვიყავი მეორე თეატრიდან ფესტივალზე გასტროლით და გავიმარჯვეთ, „საუკეთესო სპექტაკლი“ ჩამოვიტანეთ ახმეტელის თეატრით და თვის ბოლოს სოხუმის თეატრში 118 ლარი მომაკლდა.

რანაირი კანონია?!

თეატრი არ არის ოფისი, რომ დღიურად ჩამოაჭრათ ხელფასიდან. ეს არის შემოქმედებითი სამსახური. ამიტომ კანონიც შესაბამისად უნდა მოარგონ! მაშინ თეატრში წინასაპრემიეროდ გათენებული ღამეებისთვისაც გადაუხადონ მსახიობებს თანხა. პრემია მაინც გამოუწერონ, რაც არ არსებობს! მით უმეტეს, სოხუმისა და ახმეტელის და ბევრი სხვა მცირებიუჯეტიანი თეატრისა და მათი მსახიობებისთვის ეს რთულად გადასატანია.

ბათუმში რომ წავიდეს მსახიობი იმავე დროით, რაც უცხოეთში, არასაშვებულებო პერიოდში, თუმცა, როცა სპექტაკლი და რეპეტიცია არ აქვს და გაირუჯოს, თანხას არ აჭრიან, ხოლო უცხოეთში ფესტივალზე წასვლისას ვჯარიმდებით? ლოგიკა?

ჩვენი საყურიანი წინაპრების ფრესკები ჩამოვანგრიოთ?

მეტრო „რუსთაველში“ საყურიანი ბიჭების ცემის ფაქტმა ქართველი საზოგადოების უმრავლესობა გაანაწყენა. ადამიანებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს მოძალადეებს, რომ საყურე ჩვენს წინაპრებსაც ეკეთათ, მათ შორის მეფეებს და გიორგი სააკაძესაც კი. საბედნიეროდ, მათი გამოსახულებები ეკლესიებში დღესაც შემორჩენილია.

გიორგი ყანჩაველი:

– ესენი ხომ არიან ჩვენი წინაპრები? სახელოვანნი და დიდგვაროვანნი?!

უპს საყურეებს ატარებენ... წავიდეთ ჩამოვანგრიოთ ეს ფრესკები?

შუა საუკუნეებში უფრო ახლოს ვიყავით თანამედროვე პროგრესულ აზროვნებასთან, ვიდრე დღეს.

რუსეთის დდშვც! სხვა არავინ იყენებს ამ თემას ბრბოს გამოსაღვიძებლად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში მუსიკალური კომედიის პრემიერა გაიმართება

თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის მუსიკალური კომედიის „ქმარი და ცოლის“ პრემიერა გაიმართება. სპექტაკლს აზერბაიჯანული თეატრის მსახიობები ითამაშებენ.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თურგაი ველი-ზადე.

კომპოზიტორი პირველად ვერსიაში აღწერდა და აპროტესტებდა ოჯახსა და საზოგადოებაში აზერბაიჯანელი ქალის უთანასწორობასა და უფლებების შეზღუდვას. მრავალი წლის შემდეგ კი ლიბრეტომ ტრანსფორმაცია განიცადა და სახეშეცვლილი მოვიდა ჩვენამდე მუსიკალური კომედიის სახით.

თურგაი ველი-ზადეს მიერ ინსცენირებული სპექტაკლი „ქმარი და ცოლი“ ვოდევილის ჟანრს განეკუთვნება. მასში უხვად წარმოდგენილ სიმღერებს მსახიობები ცოცხლად შეასრულებენ. ეს მუსიკალური კომედია მრავალფეროვანი სანახაობაა და მასში თანმიმდევრულად და დინამიკურად ვითარდება საოჯახო და ყოფითი თემები.

სცენური მოქმედებების სისადავე და მსახიობთა შემადგენლობა ტრილოგიას ვოდევილის ელფერს აძლევს.

სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები აიდა თაგიევა, ბინალი აკიპოვი, აზერი მამედოვი, ფაზილი ბაირამოვი, მიწვეული მსახიობი მარი მამედოვა, მანზარ სადიკოვა.

ოპერეტის პრემიერა 1910 წლის 24 მაისს ბაქოში, ძმები ნიკიტინების თეატრ-ცირკში შედგა.

ალექსანდრე ლორთქიფანიძე მთავარ საფრთხეებზე საუბრობს

„წიგნების თაროს“ წამყვანი და მწერალი ალექსანდრე ლორთქიფანიძე ქართველ საზოგადოებას გამოფხიზლებას ურჩევს და იმ მთავარ საფრთხეებზე საუბრობს, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია:

– ძმა, ძმა, გაიგე, საზღვარი კიდე გადმოუწევიათ რუსებს, სეტკებს ჭიმავენო.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, ჩვენ რას ვუშველით.

– ძმა, ძმა, გაიგე, ქართველი ბიჭი ჩაუცხრილავთ აფხაზეთის საზღვართან, ვიღაცები იკრიბებიან გასაპროტესტებლად.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, ჩვენი პროტესტი ძაან შეაშინებს პუტინს, რას ამბობ.

– ძმა, ძმა, გაიგე, კიდე ვიღაც მუშა გადმოვარდნილა მშენებლობიდან, სამუშაო პირობები არ იყო თურმე დაცული.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, დაეცვა მერე, მე ხო არ დავიცავ მაგის მაგივრად, ტო.

– ძმა, ძმა, გაიგე, შახტა აფეთქდაო, ხალხი დაიღუპა, ტიპები გაფიცვას იწყებენ.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, ნუ ჩავიდოდნენ იმ შახტაში.

– ძმა, ძმა, გაიგე, საარსებო მინიმუმი თუ რაღაცა გძეტა 170 ლარიაო, ახლა გამოაცხადეს.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, საძმო ააგროვებს ყოველთვის, ისე არ დავრჩებით.

– ძმა, ძმა, გაიგე ტო, ლარის კურსი ვაფშე ავარდა, ლამის სამზეა უკვე.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, დოლარებს გავჩითავთ.

– ძმა, ძმა, გაიგე ტო, 30-მდე ქალი მოუკლავთ გასულ წელს ქმრებს და შეყვარებულებს და ეგეთ პონტში, გენდერული ნიშნითო, რა.

– აუ, დაიკიდე რა, შჩმ, მიჰქარეს, ეტყობა, რამე.

და ა.შ.

– ძმა, ძმა, ვიღაცა ტიპები მოდიან რუსთაველზე, ფერადი მაიკები აცვიათ და ცისარტყელის დროშას აქანავებენ, გეები ვართო, რა..

– სადა, ჩემი, მანახე, ბიჭო, ჩემს სამშობლოს ეგ როგორ გაუბედეს ჩემიდედასვფიცავარ, სტვოლი გამიჩითე, გავვარდით ეხლავე!

იშვიათი ალბინოსი მელა ვიდეოზე გადაიღეს

ინგლისის დედაქალაქ ლონდონის ჩრდილოეთით მამაკაცმა ვიდეოზე გადაიღო უიშვიათესი ალბინოსი მელა, რომელიც მანქანების ავტოსადგომზე დასეირნობდა. მისი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

42 წლის ჩიმანსკი პერეირა, რომელმაც ვიდეორგოლი გადაიღო, მეტად გაკვირვებული დარჩა, როდესაც იშვიათი ცხოველი დაინახა. თავდაპირველად მას ის ძაღლი ეგონა. კადრებში ჩანს, თუ როგორ დასეირნობს მელა თანამოძმეებთან ერთად სახლის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე, შემდეგ კი გარბის.

პერეირას თქმით, ასეთი ცხოველის ნახვა დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ინგლისში სულ რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ადამიანები ალბინოს მელას გადაეყარნენ.

სევდას ძაღლის გამოხედვაში ახსნა მოუძებნეს

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ სევდიანი გამოხედვა ძაღლებში ბუნებრივი გადარჩევის შედეგია და ის ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენს ადამიანებთან ურთიერთობაში.

სპეციალისტებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომელშიც ერთმანეთს შეადარეს ადამიანის გვერდით ყოფნის დროს მგლებისა და ძაღლების ქცევა. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ მეორენი ასეთ სიტუაციაში აქტიურად წევენ ზევით წარბებს. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოშინაურების პროცესში ძაღლებს განუვითარდათ განსაკუთრებული კუნთი, რომლის ამუშავების დროს მათი გამოხედვა სევდიანი ხდება.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ როდესაც ძაღლი წარბებს ზევით წევს, ადამიანებს მათი მოფერების და მოვლის ძლიერი სურვილი იპყრობთ.

გარდა ამისა, თავად ადამიანმაც მოახდინა ზეგავლენა ამ ევოლუციაზე, როდესაც არაქვეცნობიერად ახორციელებდა სელექციას და ირჩევდა უფრო სევდიანი გამოხედვის მქონე ძაღლებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7798

ევრო — 3.1406

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5348

100 რუსული რუბლი — 4.3536

ამინდის პროგნოზი 21 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ქალმა მანქანა საშინლად დაამტვრია, თვითონ უსაფრთხოების ბალიშის წყალობით გადარჩა. დამტვრეულ მანქანას ევაკუატორზე ტვირთავენ. ამ დროს ქალი პოლიციელს მიმართავს:

– რომელი საათია:

– დღის პირველი საათია.

– საერთოდ, მე არ მეჩქარება, მაგრამ სასურველი იქნება, თუ მანქანას ექვსის ნახევრისთვის შეაკეთებენ, მაგ დროს ბრუნდება მეუღლე სახლში.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ ცხოვრებაში ფული ჩემთვის მთავარი არ არის.

– რატომ?

– როგორ შეიძლება შენთვის მთავარი იყოს ის, რაც არ გაქვს?

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ პოზა მაჩვენეს: ქალი ქვევით, კაცი ზევით...

– რაა?

– რეტრო ქვია.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, მიპასუხე, როგორ ქალებს ანიჭებ უპირატესობას: ჭკვიანს თუ ლამაზს?

– არც ერთს და არც მეორეს! ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ.

ხუან მატა მანჩესტერ იუნაიტედში რჩება

მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი ნახევარმცველი ხუან მატა ზაფხულში გუნდს არ დატოვებს. მატამ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის გუნდში 2022 წლის ჩათვლით იქნება.

მატას წასვლის შესახებ პრესაში ბევრი იწერებოდა და ესპანეთში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

ხუან მატა ინგლისში უკვე დიდი ხანია, თამაშობს და მანჩესტერამდე ის ჩელსის ღირსებას იცავდა.

ფელიპე კოუტინიო: „იმედია, ბარსელონაში დავრჩები“

მაურისიო სარიმ იუვენტუსზე ისაუბრა

იუვენტუსის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ იუვენტუსზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც ტურინულ გუნდში მუშაობას დაიწყებს. სარიმ აღნიშნა, რომ მისთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ის მზად არის სამუშაოდ.

– ჩელსიში ძალიან ძლიერ ფეხბურთელებთან ვმუშაობდი, მაგრამ იუვენტუსში კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად ვიმუშავებ, რაც ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა. მე ვაპირებ, ფეხბურთელებს ჩემი თამაშის ფსიქოლოგია ავუხსნა და, იმედი მაქვს, ერთად ბევრ ტიტულს მოვიგებთ.

ბრაზილიის ნაკრებისა და ბარსელონის ფორვარდმა ფელიპე კოუტინიომ განაცხადა, რომ მან ზუსტად არ იცის, მომავალ სეზონში სად გააგრძელებს კარიერას, მაგრამ, იმედი აქვს, რომ ბარსელონაში დარჩება:

– ჯერჯერობით მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებსა და კოპა ამერიკაზე ვფიქრობ, თუმცა ზაფხულში, შესაძლოა, ბევრი რამ მოხდეს. ზუსტად არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას, მაგრამ ბარსელონიდან წასვლა არ მინდა. მსურს, რომ ყველას ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები. კოპა ამერიკაზე კოუტინიომ უკვე შეძლო ორი გოლის გატანა და მან ეს ბოლივიის ნაკრების წინააღმდეგ გააკეთა.

არგენტინამ კოპა ამერიკაზე ისევ ვერ მოიგო

არგენტინის ნაკრებმა კოპა ამერიკაზე გამართულ მეორე შეხვედრაშიც ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. ამჯერად მათ პარაგვაის ნაკრები ვერ დაამარცხეს. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

პარაგვაი იგებდა და არგენტინამ მეორე ტაიმში შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ეს ლიონელ მესიმ პენალტით გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ პარაგვაის შეეძლო მატჩის მოგება, მაგრამ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა და ამგვარად არგენტინა ზედიზედ მეორე წაგებას გადარჩა.

პირველი შეხვედრა მათ კოლუმბიასთან დათმეს. ორი მატჩის შემდეგ არგენტინის ნაკრებს მხოლოდ ერთი ქულა აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 2. მხარე ავსტრიაში; 3. რაიონი ნიუ იორკში; 4. საფრანგეთის პრეზიდენტი; 5. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 7. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 11. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი; 12. დედამიწის არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 13. საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა კონფლიქტი; 14. არგენტინელი მწერალი; 15. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 17. მთიანეთი ევროპაში; 19. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

თარაზულად: 5. პარიზის ძველი სახელწოდება; 6. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 8. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 9. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 10. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში; 11. მდგომარეობა ჭადრაკში; 13. ნეპალის დედაქალაქი; 14. ბაგირებზე დაკიდებული ხიდი მდინარეზე, ხეობაზე; 16. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 18. გარეული ცხოველი, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 20. მუსიკალური გამის მეშვიდე საფეხური; 21. ქალაქი იმერეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ღონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანგ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/